პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 2 (10699) | ხუთშაბათი, 3 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

უფრო მაღლა ავწიოთ მეექვსე ხუთწლედის წარმავლებებისათვის შეჯიბრების დროშა!

განვლო ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტმა წელმა. დადგა ახალი, ათას ცხრაას ორმოცდარვიდმეტი წელი. ამ ორი წლის მიჯნაზე მთელი მსოფლიოს წინაშე მკაფიოდ წარმოდგება იმ საქმეთა სიდიადე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა შეასრულა, და იმ ამოცანების გრანდიოზულობა, რომლებიც მან მომავალში უნდა გადაჭრას.

გასული წელი აღინიშნა დიდი მიღწევებით ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, მის მშვიდობიან, გმირულ შრომაში. ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შედეგად 1956 წელს მოპოვებულია ახალი დიდი წარმატებანი სოციალისტური მრეწველობის, და უწინარეს ყოვლისა მთელი მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში. საბჭოთა ქვეყანა უფრო ძლიერი გახდა, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საფუძველზე წარმატებით ვითარდებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, მათ შორის სოფლის მეურნეობა. მნიშვნელოვნად გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. განხორციელდა დიდი ღონისძიებანი საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების მიზნით. ცოტა როდი გაკეთებული მშრომელთა აქტივობის გასაძლიერებლად კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

1957 წელს ჩვენი ქვეყნის ხალხები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, იმ მხურვალე მისწრაფებით გამსჭვალულნი, რომ წარმატებით განახორციელონ დიდ სამუშაოთა პროგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია გამოთქვამენ ურყევ ნებას — დაწყებული წელი აღნიშნონ ახალი სასახელო საქმეებით სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანის დიდი კმაყოფილების გრძნობა გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის საახალწლო სტატეამ, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხებმა უცხოელი ამხანაგების კითხვებზე, ამხ. ნ. ა. ბულგანინის დეპეშამ იტალიური ქალთა ჟურნალის „ნოი დონეს“ რედაქციისადმი.

ამ დღეებში მთელ ჩვენს ქვეყანაში კაშკაშებენ საახალწლო ნაძვისხეები. კლუბებში, კულტურის სასახლეებში, საბჭოთა ადამიანების ოჯახებში სადღესასწაულო სუფრებზე გაიმართა ახალწლის შეხვედრის სასიხარულო ზეიმი. მოსკოველი მოსწავლეები იყვნენ საახალწლო ნაძვისხის დღესასწაულზე კრემლში. 1 იანვარს კრემლში გაიმართა ახალგაზრდობის ტრადიციული ბალი. ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქსა და სოფელში გაიმართა სახალხო სეირნობანი, სადღესასწაულო საღამოები, კარნავალები, სასპორტო შეჯიბრებანი.

შეხვდნენ რა ახალ, 1957 წელს, საბჭოთა ადამიანები მათ წინაშე მდგომი ამოცანების მაღალი შეგნებით განაგრძობენ თავიანთ დიდ შემოქმედებითს მუშაობას. დაწყებული წელი მეორე წელია მეექვსე ხუთწლედისა, რომლის შესრულება იქნება სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერებისა და მისი ურყევი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, საბჭოთა კულტურის ზრდის მომასწავებელი. ჩვენ გვაქვს მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელების ყველა შესაძლებლობა. საბჭოთა ქვეყანას ახლა აქვს მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური წარმოება, მნიშვნელოვნად უფრო დიდი, ვიდრე ოდესმე, მატერიალური რესურსები, აგრეთვე ჰყავს კვალიფიციური კადრები.

კომუნისტურ პარტიას ამჟამად საჭიროდ მიაჩნია კიდევ უფრო კარგად და უფრო სრულად გამოიყენოს სოციალისტური წყობიერების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული უპირატესობანი ხალხის ინტერესებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის. სწორედ აქედან არის მიმართული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. პლენუმმა დასახა სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი, გვიჩვენა სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში ნაკლოვანებათა თავიდან აცილების გზები. პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1957 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილ იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა. მისი შედგენის სამუშაოთა დამთავრებისას განზრახულია დაეყრდნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ მეექვსე ხუთწლედის მთავარ ამოცანებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს და ხალხები მზურვალედ იწონებენ მათ. ამ გადაწყვეტილებათა პასუხად საბჭოთა ადამიანები უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ისწრაფვიან მაქსიმალური სისრულით გამოიყენონ თვითეული სამრეწველო საწარმოს, ყოველი მშენებლობის, ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის შინაგანი რეზერვები. განუხრელად იზრდება მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის მილიონიანი მასების შემოქმედებითი ინიციატივა.

ახალი, 1957 წლის უკვე პირველი დღე მოწმობს, თუ რაოდენ მტკიცეა საბჭოთა ადამიანების გადაწყვეტილება თავიანთი შრომით გაამრავლონ ჩვენი სამშობლოს დიდება და სიდიადე, განამტკიცონ მისი ძლიერება. მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტოვი“ ეს დღე აღინიშნა ფოლადის ჩქაროსნული გამოდნობით. 50 ტონა ზეგეგმითი თუჯი გამოუშვეს გუშინ პირველ ცვლაში სტალინის მეტალურგიული ქარხნის მებრძმედეებმა დონბასში. მაღალნაყოფიერად იშრომეს ბაქოელმა მენავთობეებმა. რამდენიმე ტონა ზეგეგმითი ქაღალდი მოგვცა მიმდინარე წლის პირველმა ცვლამ სოლიკამსკის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატში.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერესები, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვს, რომ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ყველგან, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ყველა უბანზე შეიქმნას საჭირო რიტმი და დაძაბულობა მუშაობაში. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ წარმოებისა და მშენებლობის გეგმების უთუოდ შესრულება, მოქმედ სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესება, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების შინაგანი რეზერვების ყოველი ღონისძიებით მობილიზაცია. ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნიკის უსწრაფესად დანერგვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის საფუძველზე უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

ცნობილია, რომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად ჩვენ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც. მაგალითად, თუმცა ქვანახშირის ამოღება, ლითონის, ცემენტის გამოშვება და ხე-ტყის დამზადება 1955 წელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ ამ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა 1956 წელს არ სრულდებოდა. დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც ბევრ საწარმოს აქვს, ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ. მთლიანად არ სრულდება სანაფთო მშენებლობის გეგმები. არ ამოქმედებულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების ყველა რეზერვი. არის ნაკლოვანებანი ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის მუშაობაში, მოსახლეობის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მუშაობაში, ამისათვის ყოველი ღონისძიებით განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, იბრძოლონ უძრაობისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინების წინააღმდეგ, მხარი დაუჭირონ მასების შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას. საჭიროა გაუმჯობესდეს ორგანიზატორული მუშაობა, სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები სოციალისტური მეურნეობის ლენინური პრინციპების საფუძველზე.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა მილიონობით ადამიანის ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. მის წარმატებას წყვეტენ ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მათი თავდადებული, გმირული შრომა. საჭიროა განუხრელად განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება, როგორც სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენი ეკონომიკის განუწყვეტელი აღმავლობისათვის ბრძოლის ძლიერი საშუალება. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო მუშაკების ვალია აამაღლონ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დონე, უზრუნველყონ მისი შედეგების ფართო საჯაროობა და შედარებითობა, გაავრცელონ და მტკიცედ დანერგონ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები, ამავალონ წარმოების მოწინავეთა რიგები.

საბჭოთა ხალხი ახალ, 1957 წელს, შეეგება დარწმუნებული თავის ძალებში, თავის ბრწყინვალე მომავალში. იგი მშვიდად შრომობდა და შრომობს, რაკი იცის, რომ სოციალისტური სახელმწიფო ურყევად დგას მისი ინტერესების საგუშაგოზე, თანმიმდევრულად იცავს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს. კომუნისტური პარტიის დიადი შემოქმედებითი გეგმებით აღფრთოვანებულნი, საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მაღლა ასწევენ მეექვსე ხუთწლედის წარმატებებისათვის ბრძოლის დროშას, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ კომუნიზმის მშენებლობაში.

„პრავდის“ 2/I მოწინავე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1956 წლის 31 დეკემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი აბრაამ პავლეს-ძე ზავენიაგინი — გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი, სოციალისტური შრომის გმირი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ნ. ა. ბულგანინის პასუხი

პოლონეთის რადიოს მთავარი რედაქტორის კითხვებზე

ვარშავა, 1 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის რადიომ გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის პასუხი პოლონეთის რადიოს მთავარი რედაქტორის კითხვებზე.

კითხვა: როგორია სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები მომავალ წელს?

პასუხი: 1956 წელმა ბევრი რამ ახალი შეიტანა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობაში. ხელმოწერილია დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი, რომლებიც დიდ შესაძლებლობებს ქმნიან საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა შორის ურღვევი ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, ერთობლივი განცხადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების გამო, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება პოლონეთში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ.

ეჭვი არ არის, ახალ, 1957 წელს ჩვენ მივიღებთ ერთობლივ ღონისძიებებს, რათა გაფართოვდეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ნაყოფიერი თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ძირეულ ინტერესებს და სოციალიზმის მთელი ბანაკის ინტერესებს.

კითხვა: რა უნდა მოუტანოს, თქვენი აზრით, კაცობრიობას 1957 წელმა?

პასუხი: დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის აგრესიული წრეები და მათი პროპაგანდა ცოტა ღონეს როდი ხმარობენ იმისათვის, რომ შთაუნერგონ ადამიანებს პესიმიზმი და ურწმენობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პერსპექტივების მიმართ, აიძულონ ისინი დაიჯერონ გამალებული შეიარაღებისა და ომის ფატალური აუცილებლობა. ცდილობენ რა ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ისინი მიმართავენ სამხედრო ავანტიურებსა და პროვოკაციებს.

ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიამ ეგვიპტეში და კონტრრევოლუციურმა ამბოხებამ უნგრეთში თვალნათლივ დაგვანახვა ეს.

მაგრამ ხალხებს სძულთ გამალებული შეიარაღება და ომი. მათ სწყურიათ მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება თავისთვის და მომავალი თაობებისათვის და გამსჭვალული არიან მისწრაფებით ჩაფუშონ მშვიდობის მტრების ხრიკები. ეს არის იმის მტკიცე საწინდარი, რომ მშვიდობის იდეა სულ ახალ და ახალ წარმატებებს მოიპოვებს საერთაშორისო რეაქციის მთელი აგრესიული ზრახვების მიუხედავად.

ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალი 1957 წელი აღინიშნება ხალხების დიდმნიშვნელოვანი გამარჯვებებით მათს ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, სულ მცირეოდენ შესაძლებლობასაც კი გამოიყენებს იმისათვის, რომ მშვიდობა და უშიშროება უზრუნველყოფილ იქნას.

მის აღმატებულებას
გატონ ნ. ბულგანინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ქალაქი მოსკოვი.

სულით და გულით მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, დიდ მადლობას თქვენი კეთილმოსურნე მოლოცვისათვის პრემიერ-მინისტრად ჩემი დანიშვნის გამო.

ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა განვავითარო და განვამტკიცო იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც თქვენ და ჩემმა წინამორბედმა იცირო ხატოიამამ აღადგინეთ.

ვსარგებლობ შემთხვევით დიდი მადლობა მოვახსენო თქვენს აღმატებულებას.

ტანძან ისიგასი,
იაპონიის პრემიერ-მინისტრი.

მის აღმატებულებას
გატონ დ. შეპილოვს,
საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

უდიდესი სიხარულით მივიღე თქვენი აღმატებულების თავაზიანი დეპეშა, რომლითაც გამოთქვით თქვენი მოლოცვა და სურვილები ლიბიის დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავის გამო.

მხურვალედ გმადლობთ და გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ხოლო ჩვენს ქვეყნებს კეთილდღეობასა და აყვავებას მშვიდობის საფარველით.

ალი საჰილი,
ლიბიის შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

ტრიპოლი, 1956 წლის 25 დეკემბერი.

დეპეშა
მის აღმატებულებას
გ-ნ მუჰამედ ოსმან ელ-დარდირის,
სუდანის რესპუბლიკის უმაღლესი კომისიის თავმჯდომარეს
ხარტუმი.

ეროვნული დღესასწაულის — სუდანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის წლისთავის გამო გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მოლოცვა. გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას თქვენ და თქვენს კოლეგებს — უმაღლესი კომისიის წევრებს, აგრეთვე წარმატებებსა და აყვავებას სუდანის რესპუბლიკის ხალხს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით სუდანისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 31 დეკემბერი.

დეპეშა
მის აღმატებულებას
გ-ნ აბდალაჰ ხალილს
სუდანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს
ხარტუმი.

სუდანის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის დღეს გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელი მოლოცვა, გისურვებთ საუკეთესო წარმატებებს სუდანის მთავრობასა და პირადად თქვენ.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი სიმპათიით ადევნებენ თვალყურს სუდანის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სუდანის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცება და ყოველმხრივი განვითარება, და გულწრფელად უსურვებენ სუდანელ ხალხს ბედნიერებასა და აყვავებას.

ნ. ბულგანინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 31 დეკემბერი.

დეპეშა
მის აღმატებულებას
გ-ნ მუჰამედ აჰმედ მაჰგუბს
სუდანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს
ხარტუმი.

სუდანის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა. გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველგვარ წარმატებას თქვენს საქმიანობაში, რომლის მიზანია სუდანსა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარება ჩვენი ხალხების ინტერესებისათვის და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცება.

დ. შეპილოვი,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მოსკოვი, 1956 წლის 31 დეკემბერი.

თბილისის სტუდენტი ახალგაზრდობის საახალწლო საღამო

მხიარული გამოცოცხლება იყო გუშინ, 2 იანვარს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში. ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი მოვიდა აქ თბილისის სტუდენტი ახალგაზრდობის საახალწლო საღამოზე. მათთან ერთად არიან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. აქვე შეიკრიბნენ ქალაქის უღიდეს სამეწველო საწარმოთა ახალგაზრდა მუშები.

მთავრობის სახლის ვრცელი ვესტიბიულები სადღესასწაულოდ არის მორთული. ფერად-ფერადი ლენტები, ყვავილების გირლანდები შემოვლებული აქვს მარმარილოს სვეტებს. გაჩირაღდნებულია ვეებერთელა ნაძვის ხე. ყველგან გაისმის სიმღერა, მხიარული სიცილი. განუწყვეტლივ უკრავს ორკესტრი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. პ. გიორგაძე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიმართავს ახალგაზრდობას საახალწლო მისალმებით. ზეიმურად ეღერს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი.

გაჩირაღდნებული ნაძვის ხის გარშემო იწყება ცეკვა, მასობრივი თამაში. იმპროვიზებულ ესტრადაზე გამოვიდნენ თბილისის თეატრების, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი.

გვიანობამდე გაგრძელდა მთავრობის სახლში სიჭაბუკის დღესასწაული.

(საქდესი).

ახალი წლის შეხვედრა კრემლში

მოსკოვი, კრემლი. საათის ისრები მაცხოვრის კოშკზე თორმეტს უახლოვდება: ახალ წლამდე წუთებიღა დარჩა. ამ დროს მილიონობით საბჭოთა ადამიანი გონებრივ თვალს მიაპყრობს აქეთ, სამშობლოს გულს, მოსკოვს, კრემლს.

კეთილი სიტყვით აცილებს ჩვენი ხალხი მიმავალ წელს — მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს, კომუნისტური პარტიის XX ყრილობის წინასწარდასახულობათა მიხედვით მშვიდობიანი შრომის ფრონტზე გამარჯვებათა წელს. იგი იყო საბჭოთა ადამიანების მთელი სულიერი ძალების შემდგომი მძლავრი აღმავლობის წელი, საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც უკვდავი ლენინის დროშით მიდიან კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

ეგებება რა ახალ, ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტ წელს, — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავის წელს, საბჭოთა ხალხი აღსავსეა უაღრესად ნათელი იმედებით.

...კრემლი გაჩირაღდნებულია. ასობით ადამიანი შეიკრიბა კრემლის დიდი სასახლის დარბაზებში. 31 დეკემბერს ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მოაწყო ახალი წლის შეხვედრა. აქ არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები — ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი; აქ ჩვენ ვხედავთ მინისტრებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატებს, საბჭოთა არმიის მხედართმთავრებს, მეცნიერებს, მოსკოვის ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების წარჩინებულ ადამიანებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებს, მწერლებს, მხატვრებსა და მსახიობებს, არქიტექტორებსა და მასწავლებლებს, ექიმებსა და ინჟინრებს.

გახსნა რა საღამო, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა პირველად ადღეგრძელა მიმავალი წელი, რომელიც საბჭოთა ადამიანებისათვის აღინიშნა ახალი წარმატებებით მათი შემოქმედებითი შრომის ყველა დარგში, ადღეგრძელა საბჭოთა ხალხი, დარბაზში მყოფი სტუმრები. პასუხად გაისმა ტაში.

ახალი წლის დაწყებამდე რამდენიმე წუთი დარჩა. დამსწრენი ისმენენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის საახალწლო სიტყვას, მიმართულს დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეებისადმი. რადიოთი გადაცემულ ამ სიტყვას ამ დროს ისმენდნენ არა მარტო აქ, გაჩირაღდნებულ კრემლის სასახლეში, არამედ აგრეთვე თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ კუთხეში — როგორც სადღესასწაულო სუფრასთან, ისე შრომითს ვახტზე...

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! — ამთავრებს თავის მოკლე გამოსვლას კ. ე. ვოროშილოვი, — ჩვენი ქვეყნის ხალხები ახალ წელში შედიან მჭიდროდ დარაზმულნი თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მხნენი და დარწმუნებულნი ჩვენი დიადი საქმის გამარჯვებაში. ერთხელ კიდევ გულითადად ვულოცავ ყველა საბჭოთა ადამიანს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, საბჭოთა მეომრებს, ჩვენს ქალებსა და ახალგაზრდობას ახალ, 1957 წელს. სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს შრომაში, სწავლასა და მთელ საქმიანობაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სასახლის დარბაზებში კვლავ გაისმის მქუხარე ტაში.

კრემლის კურანტებმა თორმეტჯერ ჩამოკრეს. დადგა ახალი წელი! დამსწრენი ფეხზე დგებიან. გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული ჰანგი.

ახალი წლის შეხვედრაზე მისი მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი. გიორგის დარბაზში გამოდიან საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები.

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი ადღეგრძელებს დიდ საბჭოთა ხალხს. გაისმის მქუხარე, მგზნებარე ტაში.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევს. წარმოთქვამს რა სადღეგრძელოს, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანებს სწყურიათ მშვიდობა, რომელიც მათ საშრომლათ შემოქმედებითი შრომისათვის, რათა ჩვენი ქვეყანა სულ უფრო ძლიერი გახდეს, ხოლო ცხოვრება სულ უფრო ნათელი და საამური. მაგრამ, შენიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებს გამალებული შეიარაღება. ამიტომ ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი არმია, უნდა აღვჭურვოთ იგი პირველხარისხოვანი ტექნიკით და საჭურვლით. ჩვენ ამას ვაკეთებდით, ვაკეთებთ და კვლავაც გავაკეთებთ, იმიტომ რომ გვსურს შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა, იმიტომ რომ ჩვენ უნდა დავიცვათ დიდი ოქტომბრის მონაპოვარი — საბჭოთა ხელისუფლება.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამ სიტყვებს დამსწრენი მოწონების შეძახილებით და ახალი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

წარმოითქვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, სოციალიზმის ქვეყნის შემდგომი აყვავების, გმირი საბჭოთა ახალგაზრდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის ხალხებთან სსრ კავშირის მშრომელთა ძმური მეგობრობის, დედამიწის ყველა ხალხს შორის მეგობრობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადღეგრძელოები.

დასასრულ ნ. ა. ბულგანინი ადღეგრძელებს დიპლომატებს, ელჩებს, დესპანებს, საქმეთა რწმუნებულებს და საელჩოების თანამშრომლებს. კრემლის სასახლის დარბაზებში კვლავ გაისმის მქუხარე ტაში.

სიტყვას ითხოვს მოსკოვში დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი შვეიცის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი როლფ რ. სულმანი. იგი წარმოთქვამს საპასუხო სადღეგრძელოს.

სტუმრები ტოვებენ სადღესასწაულო სუფრას. ხან აქ, ხან იქ იკრიბებიან შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფები. ისინი გაცხოველებით საუბრობენ, უამბობენ თავიანთ გასული წლის წარმატებებზე, უზიარებენ მომავლის გეგმებს. უკრავს ორკესტრი, იწყება ცეკვა.

ამ საზეიმო საახალწლო საღამომ, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ა. ბულგანინმა მოაწყო, ჩაიარა გულწრფელობის, გულითადობის, მეგობრობის ვითარებაში. იგი განასახიერებდა ხალხის, პარტიისა და მთავრობის ურყევ ერთიანობას; მას ახასიათებდა ნათელი ოპტიმიზმი და რწმენა, რომ საბჭოთა ხალხს, რომელიც მიდის კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, ახალი წელი მოუტანს ახალ, დიდ გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში. (საკდესი).

ერთხელ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ

გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ სტატია

პეკინი, 29 დეკემბერი. (საკუთარი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: 29 დეკემბერს გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ გამოაქვეყნა სტატია „ერთხელ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ“ (სტატია დაწერილია გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ რედაქციის მიერ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გაფართოებულ სხდომაზე ამ საკითხის განხილვის საფუძველზე).

ქვემოთ მთლიანად ქვეყნდება ეს სტატია.

1956 წლის აპრილში სტალინის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ განვიხილეთ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილება. მას შემდეგ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში მოხდა კიდევ მთელი რიგი ამბები, რომლებმაც ჩვენი ხალხის გულმოდგინე ყურადღება მიიპყრო. ჩვენს გაზეთებში ამხანაგ ტიტოს 11 ნოემბრის სიტყვის და ამ სიტყვის გამო სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების კომენტარების გამოქვეყნების შემდეგ ბევრ ადამიანს ცოტა საკითხი როდი წამოჭრა, რომლებიც პასუხს მოითხოვს. ამ სტატიაში ჩვენ განსაკუთრებით შევეხებით შემდეგ საკითხებს, სახელდობრ: პირველი, საბჭოთა კავშირში რევოლუციისა და მშენებლობის ძირითადი გზის შეფასებას; მეორე, სტალინის დამსახურებისა და შეცდომების შეფასებას; მესამე, დოგმატიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას; მეოთხე, ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას.

განვიხილავთ რა თანამედროვე საერთაშორისო საკითხებს, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავიმყაროთ თვით ძირითად ფაქტს, სახელდობრ — ანტაგონიზმის არსებობას იმპერიალისტურ აგრესიულ ბლოკსა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ძალებს შორის. ჩინელი ხალხი, რომელიც ასე ძლიერ დაზარალდა იმპერიალიზმის აგრესიით, არასოდეს არ დაივიწყებს, რომ იმპერიალიზმი მუდამ გამოდის ყველა ქვეყნის ხალხთა განთავისუფლებისა და ყველა ჩაგრული ერის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, მიაჩნია რა კომუნისტური მოძრაობა, რომელიც თანმიმდევრულად გამოხატავს ხალხთა ინტერესებს, ბისტად საკუთარ თვალში. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის წარმოშობის მომენტიდან იმპერიალიზმი ყველა საშუალებას იყენებს, რათა ზიანი მიაყენოს საბჭოთა კავშირს. მთელი რიგი სოციალისტური სახელმწიფოების შექმნის შემდეგ კი ანტაგონიზმი იმპერიალიზმის ბანაკსა და სოციალიზმის ბანაკს შორის და იმპერიალისტური ბანაკის აშკარა ძირგამომთხრელი საქმიანობა სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ უაღრესად თვალსაჩინო მოვლენა გახდა მსოფლიო პოლიტიკაში. განსაკუთრებით ბოროტად და თავხედურად ერევიან სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც იმპერიალისტური ბანაკის მეთაურს წარმოადგენენ. მრავალი წლის მანძილზე ისინი ხელს უშლიან ჩვენს ქვეყანას გაათავისუფლოს მისი საკუთარი ტერიტორია — ტაივანი, აშკარად აცხადებენ თავიანთი მთავრობის პოლიტიკურ გეზად ძირგამომთხრელი საქმიანობის განხორციელებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

კორეაში აგრესიული ომის შემდეგ სოციალისტურ ბანაკზე იმპერიალიზმის ყველაზე სერიოზული შეტევა იყო მისი საქმიანობა უნგრეთში 1956 წლის ოქტომბერში მომხდარი ამბების დროს. როგორც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში იყო აღნიშნული, უნგრეთის ამბები გამოიწვია შინაგანმა და გარეშე მიზეზებმა, და ყოველი ცალმხრივი განმარტება სწორი არ იქნებოდა, ხოლო ამ ამბებში „ძირითადი და გადამწყვეტი როლი“ შეასრულა საერთაშორისო იმპერიალიზმმა. მას შემდეგ, რაც უნგრეთში კონტრრევოლუციის რესტავრაციისაკენ მიმართული ხრიკები მოგერიებულ იქნა, იმპერიალისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით თავს მოახვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული რეზოლუციები, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩარევას უნგრეთის საშინაო საქმეებში, და ამავე დროს მთელ დასავლეთ სამყაროში გააჩაღეს გაფთრებული ანტიკომუნისტური კამპანია. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებმაც გამოიყენეს ინგლისისა და საფრანგეთის დამარცხება მათს აგრესიულ ომში ეგვიპტის წინააღმდეგ, ყოველნაირად ცდილობენ ხელთ იგდონ ინგლის-საფრანგეთის პოზიციები შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ისინი ამავე დროს ირწმუნებიან, რომ უზრუნველყოფენ იმ „გაუგებრობათა“ თავიდან აცილებას, რომლებიც არსებობს, ერთი მხრივ, მათსა და, მეორე მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, და მიაღწევენ „უფრო მჭიდრო და უფრო ახლო გაგებას“, რათა კვლავ შექმნან კომუნიზმის წინააღმდეგ, აზიისა და აფრიკის ხალხების წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ერთიანი ფრონტი. იმპერიალისტური ქვეყნები უნდა დაირაზმონ კომუნიზმის წინააღმდეგ, ხალხებს წინააღმდეგ, მშვიდობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით — ასეთია ძირითადი აზრი ნატოს საბჭოს სესიაზე დალესის მიერ წამოყენებული ეგრეთწოდებული „ცხოვრებისა და მოქმედების ფილოსოფიისა, რომელიც უნდა გვქონდეს მსოფლიო ისტორიის ამ კრიზისულ მომენტში“. დალესი რამდენადმე გატაცებული ამტკიცებდა: „საბჭოთა კომუნისტური სტრუქტურა გადაგვარების მდგომარეობაშია(?), ხოლო მმართველთა ძალაუფლება იფუშება(?)... ასეთი სიტუაციის წინაშე თავისუფალმა ქვეყნებმა უნდა შეინარჩუნონ მორალური ზეგავლენა, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნისტური სისტემისათვის ძირის გამოთხრისა, აგრეთვე შეინარჩუნონ თავიანთი სამხედრო ძლიერება და სიმტკიცე“. მან მოუწოდა ნატოს ქვეყნებს „დაანგრიონ მძლავრი საბჭოთა დესპოტიზმი(?), რომელიც ემყარება მილიტარისტულ (?) და ათეისტურ კონცეპციებს“, აგრეთვე განაცხადა, რომ „ამჟამად საქმე ისეა, რომ კომუნისტური სამყაროს ხასიათის შეცვლა შესაძლებლობის ფარგლებშია“(!).

ჩვენ მუდამ მიგვაჩნდა, რომ მტერი ჩვენი საუკეთესო მასწავლებელია, და ახლა დალესი კვლავ გვაძლევს გაკვეთილს. დაე მან ცილი დაგვწამოს ათასჯერ, დაე დაგვწყევლოს ათიათასჯერ — აქ ახალი და გასაკვირველი არაფერია. მაგრამ იგი „ფილოსოფიის“ თვალსაზრისით იმპერიალისტური სამყაროსაგან მოითხოვს, რომ იგი წინააღმდეგობას მასა და კომუნიზმს შორის აყენებდეს ყველა სხვა წინააღმდეგობაზე მაღლა, რომ ყველაფერი მიმართული იყოს „კომუნისტური სამყაროს ხასიათის შეცვლისაკენ“, სოციალისტური სისტემის „ძირის გამოთხრისა“ და „დანგრევისაკენ“, სოციალისტური სისტემისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, და თუმცა მათთვის ეს, უეჭველია, ამაო შრომაა, ჩვენთვის კი მეტად სასარგებლო გაკვეთილია. ჩვენ ყოველთვის ვემხრობოდით და კვლავაც მივემხრობით სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას, მშვიდობიან შეჯიბრებას მათ შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმპერიალისტები წინანდებურად მუდამ ისწრაფვიან მოგვსპონ. ამიტომ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მწვავე ბრძოლა მტრებსა და ჩვენს შორის არის კლასობრივი ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით.

ჩვენს წინაშეა თავიანთი ხასიათით მოპირდაპირე ორი ტიპის წინააღმდეგობა: პირველია წინააღმდეგობანი ჩვენსა და ჩვენს მტრებს შორის (იმპერიალისტურ ბანაკსა და სოციალისტურ ბანაკს შორის, ერთი მხრივ, იმპერიალისტთა და, მეორე მხრივ, მსოფლიოს ყველა ხალხს და ყველა ჩაგრულ ერს შორის, იმპერიალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და ა. შ.). ეს არის ძირითადი წინააღმდეგობანი. მათი საფუძველია მტრული კლასების ინტერესების შეჯახება; მეორეა წინააღმდეგობანი ხალხის შიგნით (ხალხის ერთ და მეორე ნაწილს შორის, კომუნისტურ პარტიაში ამხანაგთა ერთ ნაწილსა და მეორე ნაწილს შორის, სოციალისტურ ქვეყნებში მთავრობასა და ხალხს შორის, სოციალისტურ ქვეყნებს შორის, კომუნისტურ პარტიებს შორის და ა. შ.). ეს ორდია ძირითადი წინააღმდეგობანი, ისინი წარმოიშვება არა კლასობრივი ინტერესების ძირეული შეჯახებისაგან, არამედ სწორ და მცდარ აზრებს შორის წინააღმდეგობისაგან ანდა იმ ინტერესებს შორის წინააღმდეგობისაგან, რომლებსაც ნაწილობრივი ხასიათი აქვთ. ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა უწინარეს ყოვლისა უნდა ექვემდებარებოდეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესებს. წინააღმდეგობანი ხალხის შიგნით შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას დარაზმულობისადმი მისწრაფებაზე დაყრდნობით, კრიტიკის ან ბრძოლის გზით, და ასეთმა გადაჭრამ უნდა გამოიწვიოს ახალი დარაზმულობა ახალ პირობებში. რა თქმა უნდა, პრაქტიკული ცხოვრება რთულია. მთავარ საერთო მტერს რომ წინააღმდეგობა გაეწიოთ, ზოგჯერ შეიძლება აგრეთვე გაერთიანდნენ კლასები, რომელთა ძირითადი ინტერესები ერთმანეთს ეჯახება. და პირიქით, გარკვეულ პირობებში განსაზღვრული წინააღმდეგობანი ხალხის შიგნით შეიძლება აგრეთვე თანდათანობით გადაიქცნენ ანტაგონისტურ წინააღმდეგობებად იმის გამო, რომ ამ წინააღმდეგობაში ერთ-ერთი მოპირდაპირე მხარე თანდათან გადადის მტრის მხარეზე. საბოლოო ანგარიშით ამგვარი წინააღმდეგობანი სავსებით იცვლიან თავიანთ თვისებას და აღარ არიან წინააღმდეგობანი ხალხის შიგნით, არამედ იქცევიან წინააღმდეგობებად მტრებსა და ჩვენს შორის. ასეთი მოვლენები იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ისტორიაში. ერთი სიტყვით, თუ კი ადამიანი დგას ხალხის პოზიციებზე, იგი არასოდეს არ გააიგივებს ხალხის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს და ჩვენსა და ჩვენს მტრებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს და ერთმანეთში არ აურევს ამ წინააღმდეგობებს, მით უმეტეს ხალხის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს არ დააყენებს ჩვენსა და ჩვენს მტრებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ეს ის ძირითადი საკითხია, რომელზეც ამბობენ მარქსისტ-ლენინელები.

მარქსისტული მოძღვრება პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მუშათა მოძრაობის გამოცდილების მეცნიერული განზოგადებაა. მაგრამ, პარიზის კომუნის გარდა, რომელმაც მხოლოდ 72 დღეს იარსება, პირადად მარქსი და ენგელსი ვერ მოესწრნენ პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებას, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ მთელ სიცოცხლეში. 1917 წელს რუსეთის პროლეტარიატმა ლენინისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა და შემდეგ წარმატებით ააშენა სოციალისტური საზოგადოება. ამ მომენტიდან მეცნიერული სოციალიზმი თეორიიდან და ოცნებიდან გადაიქცა ცოცხალ სინამდვილედ. ამრიგად, რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას არა მარტო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის ისტორიაშიც.

საბჭოთა კავშირმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია რევოლუციის შემდეგ განვლილ 39 წელიწადში. მოსპო რა ექსპლოატატორული სისტემა, საბჭოთა კავშირმა ეკონომიური ცხოვრების დარგში მოსპო ანარქია, კრიზისები და უმუშევრობა. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და კულტურა ვითარდება კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მიუწვდომელი ტემპებით. 1956 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციამ უკვე 30-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის უმაღლეს რევოლუციამდელ დონეს. ქვეყანა, რომელიც რევოლუციამდე მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი იყო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა წერაკითხვის უცოდინარი იყო, ახლა უკვე გახდა მსოფლიოში მეორე ინდუსტრიული სახელმწიფო და მას ჰყავს სხვა ქვეყნებთან შედარებით მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკური ძალები და აქვს დიდად განვითარებული სოციალისტური კულტურა. საბჭოთა კავშირის მშრომელები ჩაგრულებიდან, როგორიც ისინი იყვნენ რევოლუციამდე, ახლა გახდნენ ქვეყნისა და საზოგადოების ბატონ-პატრონნი; მათ გამოიჩინეს უდიდესი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა რევოლუციურ ბრძოლასა და შემოქმედებითს შრომაში; ძირეულად შეიცვალა მათი მატერიალური მდგომარეობა და კულტურული ცხოვრება. რევოლუციამდელი რუსეთი არსებითად იყო ამ ქვეყნის მოსახლე ხალხების საპყრობილე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი ეს ხალხები საბჭოთა კავშირში თანასწორუფლებიანი გახდნენ და სწრაფად გაიზარდნენ სოციალისტურ მოწინავე ერებად.

საბჭოთა კავშირის განვითარების გზა სრულიადაც არ იყო ადვილი. 1918 წლიდან 1920 წლამდე საბჭოთა კავშირმა განიცადა თითხმეტი კაპიტალისტური სახელმწიფოს თავდასხმა. ადრინდელ პერიოდში საბჭოთა კავშირმა გადაიტანა სერიოზული გაჭირვება — სამოქალაქო ომი, შიმშილი, ეკონომიური სიძნელეები, სექტანტურ-გამთიშველი საქმიანობა პარტიის შიგნით. მეორე მსოფლიო ომის გადამწყვეტ პერიოდში, მანამდე, სანამ დასავლეთის ქვეყნები მეორე ფრონტს გახსნიდნენ, საბჭოთა კავშირმა მარტოდმარტომ გაუძლო ჰიტლერისა და მის თანამზრახველთა მრავალმილიონიანი არმიის თავდასხმას და გაანადგურა ისინი. ამ მკაცრმა განსაცდელმა ვერ გატეხა საბჭოთა კავშირი, ვერ შეაჩერა მისი წინსვლა.

საბჭოთა კავშირის არსებობამ ძირეულად შეარყია იმპერიალიზმის ბატონობა, რევოლუციურ მუშათა მოძრაობას და ჩაგრულ ხალხთა ეროვნულგანმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუნერგა უსაზღვრო იმედი, შემატა მათ რწმენა და მამაცობა. ყველა ქვეყნის მშრომელები მხარს უჭერდნენ საბჭოთა კავშირს, ხოლო საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, მხარს უჭერდა ყველა ქვეყნის მშრომელებს. საბჭოთა კავშირი ახორციელებდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის, ერების საყოველთაო თანასწორუფლებიანობის აღიარებისა და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი იყო მსოფლიოში ძირითადი ძალა, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ აგრესიაზე. გმირმა საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ცენტრალური ევროპის ნაწილი, ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი და კორეის ჩრდილოეთი ნაწილი, თანამშრომლობდა რა ამ ქვეყნების ხალხთა ძალებთან. საბჭოთა კავშირმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან, დაეხმარა ამ ქვეყნებს ეკონომიურ მშენებლობაში და მათთან ერთად შექმნა მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ბურჯი — სოციალისტური ბანაკი. საბჭოთა კავშირმა აგრეთვე სერიოზული მხარდაჭერა აღმოუჩინა მოძრაობას მთელი მსოფლიოს ჩაგრული ერების დამოუკიდებლობისათვის, მსოფლიოს ხალხთა მოძრაობას მშვიდობისათვის და მრავალ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნენ აზიასა და აფრიკაში.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი უდავო ფაქტებია, რომლებიც დიდი ხანია უკვე ცნობილია. რატომღა გვიხდება ახლა კვლავ გავიხსენოთ ყოველივე ეს? იმიტომ, რომ კომუნიზმის მტრები, ისევე როგორც წინათ, სავსებით უარყოფენ ყოველივე ამას, ხოლო ამჟამად ზოგიერთი კომუნისტი, საბჭოთა კავშირის გამოცდილების განხილვისას, ხშირად მთავარ ყურადღებას აქცევს საქმის მეორეხარისხოვან მხარეს და მხედველობიდან უშვებს მთავარს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირში რევოლუციისა და მშენებლობის გამოცდილებას, საერთაშორისო მნიშვნელობის თვალსაზრისით არის რამდენიმე სხვადასხვა მომენტი. საბჭოთა კავშირის წარმატებათა გამოცდილების ნაწილს აქვს ძირითადი ხასიათი და საყოველთაო მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიის თანამედროვე ეტაპზე. ეს არის საბჭოთა კავშირის გამოცდილების მთავარი და ძირითადი მხარე. ამ გამოცდილების მეორე ნაწილს კი საყოველთაო მნიშვნელობა არა აქვს. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში არის კიდევ შეცდომათა და წარუმატებლობათა გამოცდილება. თუმცა შეცდომები და წარუმატებლობანი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით და ექნეს სერიოზულობის სხვადასხვა დონე, ვერავითარი ქვეყანა ვერასოდეს სავსებით ვერ აიცილებს მათ თავიდან. საბჭოთა კავშირს კი, რომელიც პირველი სოციალისტური სახელმწიფოა, არა ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყენებინა წარმატებათა გამოცდილება როგორც მაგალითი, და მისთვის უფრო ძნელი იყო ზოგიერთი შეცდომისა და წარუმატებლობის თავიდან აცილება. ეს შეცდომები და წარუმატებლობანი განსაკუთრებით სასარგებლო გაკვეთილია ყველა კომუნისტისათვის. ამიტომ საბჭოთა კავშირის მთელი გამოცდილება, მათ შორის ზოგიერთი შეცდომისა და წარუმატებლობის გამოცდილებაც, იმის ღირსია, რომ გულდასმით შევისწავლოთ, ამასთან საბჭოთა კავშირის წარმატებათა ძირითადი გამოცდილება განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია. საბჭოთა კავშირის განვითარების ფაქტები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის რევოლუციისა და მშენებლობის ძირითადი გამოცდილება წარმოადგენს დიდ წარმატებას, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების იმ პირველ ჰიმნს კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მთელ მსოფლიოში გაისმა.

რა არის საბჭოთა კავშირში რევოლუციისა და მშენებლობის ძირითადი გამოცდილება? ჩვენი შეხედულებით, ყოველ შემთხვევაში, ძირითადი ხასიათი აქვს შემდეგ გამოცდილებას.

1. პროლეტარიატის მოწინავე წარმომადგენლები ირაზმებიან კომუნისტურ პარტიად. ეს პოლიტიკური პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმით, შენდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით, მჭიდროდ უკავშირდება მასებს, ისწრაფვის გახდეს მშრომელი მასების ბირთვი და თავის წევრებსა და ხალხის მასებს ზრდის მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით.

2. პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აერთიანებს რა მშრომელებს, ძალაუფლებას ბურჟუაზიის ხელიდან იღებს რევოლუციური ბრძოლის გზით.

3. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ემყარება რა მუშათა და გლეხთა კავშირს და აერთიანებს რა ხალხის ფართო მასებს, ამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას მემამულეთა და ბურჟუაზიის კლასებზე, ახშობს კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგობას, ახდენს მრეწველობის ნაციონალიზაციას და თანდათან ახორციელებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, რითაც ახდენს ექსპლოატატორული სისტემისა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების სისტემის ლიკვიდაციას, სპობს კლასებს.

4. სახელმწიფო, რომელსაც პროლეტარიატი და კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობენ, ხალხის მასებს წარმართავს სოციალისტური ეკონომიკისა და სოციალისტური კულტურის გეგმიანი განვითარების საქმეში და ამ საფუძველზე. თანდათან ამაღლებს ხალხის ცხოვრების დონეს და აქტიურად ამზადებს პირობებს კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლისათვის საბრძოლველად.

5. სახელმწიფო, რომელსაც პროლეტარიატი და კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობენ, გადაჭრით ილაშქრებს იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, აღიარებს ერების თანასწორუფლებიანობას და იცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში, მტკიცედ იცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოიპოვოს ყველა ქვეყნის მშრომელთა მხარდაჭერა, აგრეთვე დაეხმაროს ყველა ქვეყნის მშრომელებს და ყველა ჩაგრულ ერს.

როცა ჩვეულებრივ ოქტომბრის რევოლუციის გზაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს სწორედ ეს როგორც ძირითადი, არ ვიღებთ გარკვეულ დროსა და ადგილში ამ რევოლუციის გამოვლინების კონკრეტულ ფორმას. ეს ძირითადი არის მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტება, რომელიც უტყუარია მთელი მსოფლიოსათვის.

რევოლუციისა და მშენებლობის პროცესს ყოველ ქვეყანაში საერთო ნიშნებთან ერთად აქვს აგრეთვე განსხვავებული მხარეები. ამ აზრით თვითეულ სახელმწიფოს აქვს განვითარების საკუთარი კონკრეტული გზა. ჩვენ ამ საკითხს [illegible] მაგრამ, თუ ვ[illegible] ბათა თვალსაზრისით, ოქტომბრის რევოლუციის გზა ასახავს რევოლუციისა და მშენებლობის საყოველთაო კანონს ადამიანთა საზოგადოების განვითარების დიდი გზის გარკვეულ ეტაპზე. ეს არის არა მარტო საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მთავარი გზა, არამედ აგრეთვე საერთო მთავარი გზა, რომლითაც უნდა იარონ ყველა ქვეყნის პროლეტარებმა გამარჯვების მისაღწევად. სწორედ ამიტომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პოლიტიკურ ანგარიშში სრულიად ჩინეთის VIII ყრილობისადმი აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციას ჩვენს ქვეყანაში ბევრი საკუთარი თავისებურება აქვს, ჩინელი კომუნისტებს თავიანთი საქმე მიაჩნიათ დიდი ოქტომბრის რევოლუციის გაგრძელებად“.

ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაკვალული მარქსისტულ-ლენინური გზის დაცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში. როცა აცხადებენ თავიანთ მისწრაფებას „შეცვალონ კომუნისტური სამყაროს ხასიათი“, იმპერიალისტებს სურთ შეცვალონ რევოლუციის სწორედ ეს გზა. უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ყველა რევიზიონისტული აზრი, რომლებიც რევიზიონისტებმა წამოაყენეს მარქსიზმ-ლენინიზმის მიმართ, ყველა მემარჯვენეოპორტუნისტული იდეა, რომლებსაც ისინი ავრცელებდნენ, გამიზნული იყო სწორედ იქითკენ, რომ აეცდინათ პროლეტარიატი მისი განთავისუფლებისათვის ამ სავალდებულო გზიდან. ყველა კომუნისტის ამოცანა ის არის, რომ დარაზმონ პროლეტარიატი, დარაზმონ ხალხთა მასები, გადაჭრით მოიგერიონ იმპერიალისტთა გაფთრებული შეტევა სოციალისტურ სამყაროზე და მტკიცედ იარონ წინ ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაკვალული გზით.

II.

ადამიანები კითხულობენ: რამდენადაც საბჭოთა კავშირში რევოლუციისა და მშენებლობის ძირითადი გზა სწორია, რატომ წარმოიშვა სტალინის შეცდომები?

აპრილის სტატიაში ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხი. მაგრამ უკანასკნელ ხანს აღმოსავლეთ ევროპაში ვითარების განვითარებისა და ამასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებათა გამო საკითხი სტალინის შეცდომების სწორი გაგებისა და ამ შეცდომებისადმი სწორი მიდგომის შესახებ გადაიქცა სერიოზულ საკითხად, რომელიც გავლენას ახდენს ბევრი ქვეყნის კომუნისტური პარტიების შინაგან განვითარებაზე და სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების დარაზმულობაზე, სერიოზულ საკითხად, რომელიც გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოში კომუნიზმის ძალების საერთო ბრძოლაზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამიტომ წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ მივცეთ ამ საკითხზე ჩვენი თვალსაზრისის ზოგიერთი შემდგომი განმარტება.

სტალინს დიდი დამსახურება აქვს საბჭოთა კავშირის განვითარებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების საქმეში. სტატიაში „პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ“ ჩვენ ვწერდით: „ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინი, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს მთავარი ხელმძღვანელი, შემოქმედებითად იყენებდა და ავითარებდა მარქსიზმ-ლენინიზმს. ლენინიზმის მტრებისაგან — ტროცკისტებისაგან, ზინოვიეველებისაგან და ბურჟუაზიის სხვა აგენტებისაგან ლენინური მემკვიდრეობის დაცვისათვის ბრძოლაში იგი გამოხატავდა ხალხის ნებას, იყო ღირსეული და გამოჩენილი მებრძოლი მარქსიზმ-ლენინიზმისათვის. სტალინმა საბჭოთა ხალხის მხარდაჭერა მოიპოვა და ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა უწინარეს ყოვლისა იმის მეოხებით, რომ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად იცავდა საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ ხაზს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ამ ხაზის განხორციელებამ გამოიწვია სოციალისტური წყობილების გამარჯვება, შექმნა პირობები, რომლებშიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა გამარჯვება ჰიტლერის წინააღმდეგ ომში. საბჭოთა ხალხის ყველა ეს გამარჯვება შეესაბამება მუშათა კლასისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ინტერესებს. ამიტომ სტალინის სახელი, სავსებით ბუნებრივია, უაღრესად განთქმული იყო მთელ მსოფლიოში“.

მაგრამ სტალინმა დაუშვა ზოგიერთი სერიოზული შეცდომა საბჭოთა კავშირის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. სტალინის მუშაობის მეთოდებმა, რომლებიც დამყარებული იყო თვითნებობაზე, რამდენადმე ზიანი მიაყენა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს პარტიულ ცხოვრებაში და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მმართველობაში, რამდენადმე დაარღვია სოციალისტური კანონიერება. რამდენადაც სტალინი მუშაობის ბევრ დარგში სერიოზულად სწყდებოდა მასებს, ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს ბევრი დიდმნიშვნელოვანი გეზის შესახებ, იგი გარდუვალად უშვებდა სერიოზულ შეცდომებს. ამ შეცდომებმა განსაკუთრებით შესამჩნევად იჩინა თავი კონტრრევოლუციის ლიკვიდაციის საკითხში და ზოგიერთ ქვეყანასთან ურთიერთობის საკითხში. რაც შეეხება კონტრრევოლუციის ლიკვიდაციას, სტალინმა დასაჯა ბევრი კონტრრევოლუციონერი, რომლების დასჯა საჭირო იყო, და ძირითადად შეასრულა ამოცანები ამ ფრონტზე; მაგრამ ამასთან ერთად მან დაუსაბუთებლად დასდო ბრალი ბევრ ერთგულ კომუნისტსა და კარგ მოქალაქეს, რამაც სერიოზული ზიანი გამოიწვია. მოძმე ქვეყნებთან და მოძმე პარტიებთან ურთიერთობის დარგში სტალინი, საერთოდ რომ ვთქვათ, ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე იდგა და ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა ბრძოლას და სოციალისტური ბანაკის განვითარებას. მაგრამ ზოგიერთი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას იგი იჩენდა ტენდენციას დიდმპყრობელური შოვინიზმის მიმართულებით და მას აკლდა თანასწორუფლებიანობის სულისკვეთება, მით უმეტეს, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მის მიერ კადრის მუშაკთა ფართო მასების აღზრდაზე თავმდაბლობის სულისკვეთებით; იგი ზოგჯერ არასწორადაც კი ერეოდა ზოგიერთი მოძმე ქვეყნისა და მოძმე პარტიის საშინაო საქმეებში, რამაც გამოიწვია მრავალი სერიოზული შედეგი.

როგორ უნდა ავხსნათ სტალინის ეს სერიოზული შეცდომები? რა კავშირია ამ შეცდომებსა და საბჭოთა კავშირის სოციალისტურ სისტემას შორის?

მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის მეცნიერება გვეუბნება, რომ წარმოებითი ურთიერთობის ყოველ ფორმას და ამ წარმოებითი ურთიერთობის ბაზისზე წარმოშობილ ზედნაშენს აქვთ თავიანთი წარმოშობის, განვითარებისა და კვდომის პროცესი. როცა საწარმოო ძალები განსაზღვრულ სტადიამდე ვითარდებიან, ძველი წარმოებითი ურთიერთობა ძირითადად აღარ შეესაბამება მას; როცა ეკონომიური ბაზისი თავის განვითარებაში განსაზღვრულ სტადიას აღწევს, ძველი ზედნაშენი ძირითადად აღარ შეესაბამება მას, და მაშინ გარდუვალად ხდება ძირეული ხასიათის ცვლილებები, და ვინც ამ ცვლილებებს წინ აღუდგება, მას ისტორია აღგვის. ეს კანონი სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა საზოგადოების მიმართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს კანონი შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე არსებული სოციალისტური საზოგადოების მიმართ და მომავალი კომუნისტური საზოგადოების მიმართ.

იყო თუ არა გამოწვეული სტალინის შეცდომები იმით, რომ სოციალისტური ეკონომიური სისტემა და სოციალისტური პოლიტიკური სისტემა საბჭოთა კავშირში უკვე მოძველდნენ და აღარ შეესაბამებიან საბჭოთა კავშირის განვითარების მოთხოვნებს? რა თქმა უნდა, არა. სოციალისტური საზოგადოება — საბჭოთა კავშირი — ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, იგი ორმოც წელიწადზე

ერთხელ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ

(გაგრძელება)

სისტემა ძირითადად შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარებას, ხოლო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემაც ძირითადად შეესაბამება ეკონომიური ბაზისის მოთხოვნებს. სტალინის შეცდომები გამოწვეულია სრულიადაც არა სოციალისტური სისტემით; ამ შეცდომების გამოსასწორებლად, რა თქმა უნდა, საჭირო არ არის სოციალისტური სისტემის „გასწორება“. დასავლეთის ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს სტალინის შეცდომები იმისათვის, რომ დაამტკიცოს სოციალისტური სისტემის „შეცდომები“. ეს სრულიად უსაფუძვლოა. არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ცდილობენ ახსნან სტალინის შეცდომები იმით, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სოციალისტურ ქვეყნებში სამეურნეო საქმეებს განაგებს, და მიაჩნიათ, რომ თუ მთავრობა სამეურნეო საქმიანობას მართავს, იგი გარდუვალად ხდება „ბიუროკრატიული აპარატი“, რომელიც აბრკოლებს სოციალისტური ძალების განვითარებას. არც ეს არის დამაჯერებელი. ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკის უდიდესი აღმავლობა სწორედ მშრომელთა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სამეურნეო საქმიანობის გეგმიანი მართვის განხორციელების შედეგია, სტალინის მთავარი შეცდომები კი ნაკლებად არის დაკავშირებული სამეურნეო საქმეების მართვაში სახელმწიფო აპარატის მუშაობის ნაკლოვანებებთან.

მაგრამ იმ პირობებში, როცა ძირითადი სისტემა მოთხოვნილებებს შეესაბამება, მაინც არსებობენ გარკვეული წინააღმდეგობანი წარმოებითს ურთიერთობასა და საწარმოო ძალებს შორის, ზედნაშენსა და ეკონომიურ ბაზისს შორის. ეს წინააღმდეგობანი გამოიხატებიან ეკონომიური და პოლიტიკური სისტემების ზოგიერთი რგოლის ნაკლოვანებებით. თუმცა ამ წინააღმდეგობათა გადასაჭრელად საჭირო არ არის მივმართოთ ძირეული ხასიათის ცვლილებებს, მაინც საჭიროა ისინი დროულად მოვაწესრიგოთ.

შეიძლება თუ არა იმის გარანტიის მიცემა, რომ შეცდომები არ წარმოიშობა, თუ არის ძირითადი სისტემა, რომელიც შეესაბამება მოთხოვნილებებს, და მოწესრიგებულია ყოველდღიური ხასიათის წინააღმდეგობანი ამ სისტემაში (დიალექტიკის მიხედვით ეს არის წინააღმდეგობანი, რომლებიც „რაოდენობრივ ცვლილებათა“ სტადიაში იმყოფება)? საკითხი არც ისე მარტივია. სისტემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თავისთავად სისტემა სრულებითაც არ არის რაღაც ყოვლისშემძლე. რა კარგიც უნდა იყოს სისტემა, მას არ შეუძლია მოგვცეს გარანტია, რომ მუშაობაში დაშვებული არ იქნება სერიოზული შეცდომები. მას შემდეგ, რაც შექმნილია სწორი სისტემა, მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ გვქონდეს უნარი სწორად გამოვიყენოთ ეს სისტემა, მდგომარეობს იმაში, რომ არსებობდეს სწორი პოლიტიკური კურსი, მუშაობის სწორი მეთოდები და სტილი. უამისოდ სწორი სისტემის პირობებშიც კარგი სახელმწიფო აპარატის გამოყენებისასაც კი შეიძლება დაშვებულ იქნას სერიოზული შეცდომები, შეიძლება კეთდებოდეს ცუდი საქმეები.

ამ ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრა საჭიროა გამოცდილების შეძენისა და პრაქტიკით შემოწმების გზით, ისინი შეუძლებელია გადაიჭრას ერთი დარტყმით. ამასთანავე ვითარება გაუწყვეტლივ იცვლება, როცა ძველი საკითხები გადაიჭრება, წარმოიშობა ახალი, და შეუძლებელია ისეთი გადაწყვეტა, რომელიც სწორი იყოს ყველა დროისათვის. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, არაფერი არ არის საკვირველი იმაში, რომ სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც უკვე შექმნილია მტკიცე საფუძველი, წარმოებითი ურთიერთობისა და ზედნაშენის ზოგიერთ რგოლში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, ჯერ კიდევ არის ესა თუ ის გადახვევები პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკაში, მუშაობის მეთოდებსა და სტილში.

სოციალისტურ ქვეყნებში პარტიისა და სახელმწიფოს ამოცანა ის არის, რომ, მასებისა და კოლექტივის ძალაზე დაყრდნობით, დროულად მოაწესრიგონ ეკონომიური და პოლიტიკური სისტემების სხვადასხვა რგოლი, დროულად აღმოაჩინონ და გამოასწორონ შეცდომები მუშაობაში. ცხადია, პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელების მიერ სინამდვილის სუბიექტური გაგება არასოდეს არ შეიძლება ასი პროცენტით შეესაბამებოდეს ობიექტურ სინამდვილეს. ამიტომ მათს მუშაობაში ყოველთვის გარდუვალად იქნება ცალკეული, ნაწილობრივი, დროებითი შეცდომები. მაგრამ საერთო-სახელმწიფოებრივი და ხანგრძლივი ხასიათის სერიოზული შეცდომები შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას, თუ კი ზუსტად დავიცავთ მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკურ მატერიალიზმს და გაძლიერებულად განვავითარებთ ამ მეცნიერებას, თუ კი განუხრელად დავიცავთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს პარტიასა და სახელმწიფოში, თუ კი ჯეროვნად დავეყრდნობით მასებს.

სტალინის ზოგიერთი შეცდომა მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში გადაიზარდა საერთო-სახელმწიფოებრივი და ხანგრძლივი ხასიათის სერიოზულ შეცდომებად და მათი დროულად გამოსწორება არ მოხერხდა სწორედ იმიტომ, რომ გარკვეული მასშტაბით და გარკვეული ზომით იგი მოსწყდა მასებსა და კოლექტივს, დაარღვია პარტიისა და სახელმწიფოს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები. პარტიასა და სახელმწიფოში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების ერთგვარი დარღვევა აიხსნება გარკვეული სოციალურ-ისტორიული პირობებით: პარტიას ჯერ კიდევ აკლდა გამოცდილება სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დარგში; ახალი წყობილება ჯერ კიდევ არ იყო იმდენად განმტკიცებული, რომ გმკლავებოდა ძველი დროის ყოველ გავლენას (ახალი წყობილების განმტკიცებისა და ძველ გავლენათა გაქრობის პროცესი სწორხაზოვანი როდია, ზოგიერთი ტალღისებრი მერყეობა ისტორიულ გარდატეხათა პერიოდებში ისეთი მოვლენაა, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი); ქვეყნის შიგნით და მის გარეთ დაძაბული ბრძოლა ისეთ როლს ასრულებდა, რომელიც ზღუდავდა დემოკრატიის ზოგიერთი მხარის განვითარებას, და ა. შ. მაგრამ მარტო ეს ობიექტური პირობები სრულებითაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეცდომების ჩადენის შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს. ისეთ პირობებში, რომლებიც ბევრად უფრო ძნელი და რთული იყო, ვიდრე ის პირობები, რომლებშიც სტალინი იმყოფებოდა, ლენინს არ დაუშვია ისეთი შეცდომები, როგორიც დაუშვა სტალინმა. აქ გადამწყვეტი ფაქტორია ადამიანის აზროვნება. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში სტალინს თავბრუ დაახვია განუწყვეტელმა გამარჯვებებმა და ქებადიდებამ, და იგი აზროვნების მეთოდებში ნაწილობრივ, მაგრამ სერიოზულად ჩამოშორდა დიალექტიკურ მატერიალიზმს და მოექცა სუბიექტივიზმში. მან დაიჯერა საკუთარი სიბრძნე და ავტორიტეტი, არ სურდა სერიოზულად მოეკიდა ხელი სხვადასხვა, რთული რეალური ვითარების გამოკვლევისა და შესწავლისათვის, არ სურდა სერიოზულად დაეგდო ყური ამხანაგების აზრებისა და მასების ხმისათვის, რის შედეგადაც მის მიერ მიღებული ზოგიერთი პოლიტიკური გეზი და ღონისძიება ხშირად ეწინააღმდეგებოდა ობიექტურ რეალურ ვითარებას, და იგი ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჯიუტად ახორციელებდა ამ მცდარ გეზსა და ღონისძიებებს, არ შეეძლო დროულად გამოესწორებინა თავისი შეცდომები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უკვე გადადგა ნაბიჯები სტალინის შეცდომების გამოსწორებისათვის და ამ შეცდომების შედეგების აღმოფხვრისათვის და წარმატებებს აღწევს ამაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ უდიდესი სიმტკიცე და გამბედაობა გამოიჩინა სტალინის კულტის აღმოფხვრის, სტალინის შეცდომების სერიოზულობის გამოვლინებისა და სტალინის შეცდომების შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. მთელ მსოფლიოში მარქსისტ-ლენინელები და კომუნიზმის საქმის თანამგრძნობი ადამიანები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია შეცდომების გამოსწორებისაკენ, და სურთ, რომ საბჭოთა ამხანაგების ღონისძიებანი სრული წარმატებით დაგვირგვინდეს. სავსებით ცხადია, რომ რამდენადაც სტალინის შეცდომები არ არის ისეთი შეცდომები, რომლებიც ხანმოკლე ხასიათს ატარებს, ეს შეცდომები არ შეიძლება მთლიანად ერთ დილას გამოსწორდეს. ამისათვის საჭიროა ღონისძიებანი შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საჭიროა გულმოდგინე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტია, რომელმაც წარსულში უამრავი სიძნელე გადალახა, უეჭველია, ამ სიძნელეებსაც გადალახავს და თავის მიზანს მიაღწევს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლამ შეცდომების გამოსწორებისათვის, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მხარდაჭერა ჰპოვოს დასავლეთის ბურჟუაზიისა და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიების მხრივ. ისარგებლეს რა ამით, რათა მიეჩქმალათ სტალინის მოღვაწეობის სწორი მხარე, მიეჩქმალათ საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის მიერ წარსულში მიღწეული უდიდესი წარმატებანი, გამოეწვიათ კომუნისტთა რიგებში დაბნეულობა და გათიშვა, ისინი ჯიუტად ეძახიან სტალინის შეცდომების გამოსწორებას ეგრეთწოდებულ ბრძოლას „სტალინიზმთან“, ეგრეთწოდებული „ანტისტალინისტების“ ბრძოლას „სტალინისტებთან“. ამაში სავსებით თვალნათლივ ჩანს მათი ბოროტი ზრახვა. სამწუხაროდ, ამისივე მსგავსი აზრები ვრცელდება ზოგიერთ კომუნისტებს შორისაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომუნისტების მიერ გამოთქმული ასეთი აზრები უაღრესად მავნეა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ცხოვრება სტალინისა, მის მიერ უკანასკნელ პერიოდში ჩადენილი ზოგიერთი სერიოზული შეცდომის მიუხედავად, დიდი რევოლუციონერი მარქსისტ-ლენინელის ცხოვრებაა. ახალგაზრდობაში სტალინი ეწეოდა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ და მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელებისათვის; შევიდა რა პარტიის ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოში, იგი იბრძოდა 1917 წლის რევოლუციის მომზადებისათვის; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი იბრძოდა ამ რევოლუციის ნაყოფის დასაცავად; ლენინის სიკვდილის შემდეგ თითქმის 30 წლის განმავლობაში იგი იბრძოდა სოციალიზმის აშენებისათვის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარებისათვის. საერთოდ რომ ვთქვათ, სტალინი მუდამ ისტორიის ნაკადის წინ იყო და წარმართავდა ბრძოლას, იგი იმპერიალიზმის შეურიგებელი მტერი იყო. სტალინს ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მაშინაც კი, როცა შეცდომებს სჩადიოდა, მას სწამდა, რომ, რასაც აკეთებდა, საჭირო იყო მშრომელთა ინტერესების დასაცავად მტრების მხრივ ხელყოფისაგან. ასე თუ ისე, სტალინის შეცდომებმა საბჭოთა კავშირს თუმცა ზიანი მიაყენა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო, სტალინის ხელმძღვანელობის პერიოდში სოციალისტური საბჭოთა კავშირი მაინც უაღრესად განვითარდა. ეს უცილობელი ფაქტი მოწმობს არა მარტო სოციალისტური სისტემის ძალას, არამედ იმასაც, რომ სტალინი მაინც მტკიცე კომუნისტი იყო. ამიტომ, განვაზოგადებთ რა სტალინის იდეოლოგიას და მოღვაწეობას მთლიანად, ჩვენ ერთსა და იმავე დროს უნდა ვხედავდეთ მის დადებითსა და უარყოფითს მხარეებს, მის დამსახურებასა და შეცდომებს. თუ კი საკითხს ყოველმხრივ განვიხილავთ, ასეთ შემთხვევაში, თუ მაინცა და მაინც სურთ ილაპარაკონ „სტალინიზმზე“, შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ „სტალინიზმი“ უწინარეს ყოვლისა კომუნიზმია, მარქსიზმ-ლენინიზმია. ეს არის მისი ძირითადი მხარე. შემდეგ, იგი შეიცავს ზოგიერთ მეტად სერიოზულ შეცდომას, რომელსაც რადიკალური გასწორება ესაჭიროება და რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმს ეწინააღმდეგება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ შეცდომების ხაზგასმით აღნიშვნა საჭიროა მათი გამოსწორების მიზნით, რათა სწორი შეფასება მიეცეს და დაშვებულ არ იქნას არასწორი გაგება ადამიანების მიერ, აგრეთვე საჭიროა ამ შეცდომების დაყენება სათანადო ადგილზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ სტალინის შეცდომებს შევადარებთ მის მიღწევებს, შეცდომები მხოლოდ მეორე ადგილზე აღმოჩნდება.

მხოლოდ ობიექტური ანალიზური მიდგომის პირობით გვექნება სწორი მიდგომა სტალინისადმი და ყველა ამხანაგისადმი, რომლებმაც მისი გავლენით ჩაიდინეს ანალოგიური შეცდომები, შეგვეძლება სწორად მივუდგეთ მათს შეცდომებს. რამდენადაც მათი შეცდომები ისეთი შეცდომებია, რომლებიც კომუნისტებმა თავიანთ მუშაობაში დაუშვეს, ისინი წარმოადგენენ შინაგან საკითხს კომუნისტთა რიგებში, საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა არის მცდარი, და არა საკითხს იმის შესახებ, თუ ვინა ხარ შენ კლასობრივ ბრძოლაში — მტერი თუ თავისიანი. ამ ამხანაგებს ჩვენ უნდა მივუდგეთ ისე, როგორც ვუდგებით ამხანაგებს, და არა ისე, როგორც მტრებს; ვაკრიტიკებთ რა მათს მცდარ მხარეებს, ამავე დროს უნდა დავიცვათ მათი სწორი მხარეები, და არა უარვყოფდეთ ყველაფერს, რაც მათ აქვთ. მათს შეცდომებს სოციალურ-ისტორიული ფესვები და განსაკუთრებით, გნოსეოლოგიური ფესვები აქვთ. მაშასადამე, რამდენადაც ეს შეცდომები დაუშვეს მათ, ისინი შეიძლება დაეშვა ზოგიერთ სხვა ამხანაგსაც, და ამიტომ, მას შემდეგ, რაც მათი შეცდომები შეცნობილ და გამოსწორებულ იქნა, ამ შეცდომებს უნდა განვიხილავდეთ როგორც სერიოზულ გაკვეთილს, როგორც ისეთ რამეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა კომუნისტის შეგნების ასამაღლებლად, იმისათვის, რომ ამით თავიდან ავიცილოთ ასეთი შეცდომების გიმეორება და წინ წავწიოთ კომუნიზმის საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამ შეცდომების ჩამდენ ადამიანთა მიმართ დავიკავებთ სრული უარყოფის პოზიციას, თუ მათ მივაკრავთ ამა თუ იმ ელემენტების იარლიყს და გამოვიჩენთ ამ ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციასა და მტრობას, არა მარტო ჩვენი ამხანაგები ვერ მიიღებენ შესაძლებლობას გამოიტანონ აქედან სათანადო გაკვეთილი, არამედ თავისი ხასიათით ორი სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობის — სწორესა და მცდარს შორის წინააღმდეგობის და მტრებსა და თავისიანებს შორის წინააღმდეგობის აღრევის შედეგად ეს გარდუვალად ობიექტურად დაეხმარება მტრებს კომუნისტური რიგების წინააღმდეგ ბრძოლაში და კომუნიზმის პოზიციების დანგრევაში.

ამხანაგმა ტიტომ და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის სხვა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა თავიანთ უკანასკნელ გამოსვლებში დაიკავეს, ჩვენი შეხედულებით, არა ყოველმხრივი და არა ობიექტური პოზიცია სტალინის შეცდომების და მათთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ. იუგოსლავიელი ამხანაგები განსაკუთრებით მტრულად რომ ეკიდებიან სტალინის შეცდომებს, — ეს გასაგებია. წარსულში იუგოსლავიელმა ამხანაგებმა, რომლებიც ძნელ პირობებში იმყოფებოდნენ, თვალსაჩინო ლონისძიებანი განახორციელეს, რომ დაეცვათ სოციალიზმი. საწარმოებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მათ განახორციელეს დემოკრატიული მართვის ექსპერიმენტები, რამაც აგრეთვე მიიპყრო ადამიანთა ყურადღება. ჩინელი ხალხი მიესალმება ერთი მხრივ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებსა და მეორე მხრივ იუგოსლავიას შორის მოღწეულ მშვიდობიან მოწესრიგებას, მიესალმება ჩინეთსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებას და ისევე, როგორც იუგოსლავიის ხალხი, უსურვებს იუგოსლავიას შემდგომ აყვავებას და მისი ძლიერების განმტკიცებას სოციალიზმის გზაზე. ჩვენ აგრეთვე ვეთანხმებით ამხ. ტიტოს ზოგიერთ შეხედულებას მის აღნიშნულ გამოსვლაში, მაგალითად, უნგრელი კონტრრევოლუციონერების დაგმობას, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისათვის მხარდაჭერას, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დაგმობას მისი აგრესიული პოლიტიკისათვის. მაგრამ ჩვენ გაგვაოცა იმან, რომ თავის გამოსვლაში იგი მიმართავს გამოხდომებს თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ და ბევრი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ამხ. ტიტო ამტკიცებს, რომ „გამოუსწორებელმა სტალინისტურმა ელემენტებმა“ შეძლეს სხვადასხვა პარტიაში შერჩენილიყვნენ თავიანთ პოსტებზე და რომ მათ კვლავ სურთ განამტკიცონ თავიანთი ბატონობა და „თავს მოახვიონ თავიანთ ბალზებს, აგრეთვე სხვებსაც ეს სტალინური ტენდენციები“. ამიტომ იგი აცხადებს, რომ „პოლონელ ამხანაგებთან ერთად ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ასეთი ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც თავს იჩენენ სხვადასხვა პარტიებში, იქნება ეს აღმოსავლეთის ქვეყნებში თუ დასავლეთში“. ჩვენ არ წაგვიკითხავს პოლონეთის პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგების გამოსვლები, რომლებშიც ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ დაეკავებინათ ასეთი მტრული პოზიცია მოძმე პარტიების მიმართ. შევეხოთ იმ აზრებს, რაც გამოთქვა ამხ. ტიტომ, რომელმაც თავდასხმების ობიექტად წამოაყენა ეგრეთწოდებული „სტალინიზმი“, „სტალინისტები“ და ა. შ. და განაცხადა, რომ ამჟამად საკითხი მდგომარეობს იმაში, გაიმარჯვებს „იუგოსლავიის მიერ დაწყებული კურსი“ თუ ეგრეთწოდებული „სტალინური კურსი“. ასეთი პოზიცია სწორი არ არის. ამას შეუძლია კომუნისტური მოძრაობა მხოლოდ გათიშვამდე მიიყვანოს.

ამხანაგმა ტიტომ სწორად აღნიშნა, რომ, „ვუყურებთ რა უნგრეთის თანამედროვე განვითარებას პერსპექტივაში — სოციალიზმი თუ კონტრრევოლუცია, — ჩვენ უნდა დავიცვათ კადრის ახლანდელი მთავრობა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას“. მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ დიდი გამოსვლა უნგრეთის საკითხზე, რაც გააკეთა იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კარდელმა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესიაზე, უნგრეთის მთავრობის დაცვა და ამ მთავრობისადმი დახმარება იყოს. თავის გამოსვლაში მან არა მარტო ისეთი განმარტება მისცა უნგრეთის ამბებს, რომელშიც სრულებით არ არის გავლენული ზღვარი თავისებურებსა და მტრებს შორის, არამედ უნგრელ ამხანაგებს მოთხოვნაც კი წაუყენა „პოლიტიკურ სისტემაში ძირეულ ცვლილებათა საჭიროების“ შესახებ, მოსთხოვა მათ მთელი ძალაუფლება გადასცენ ბუდაპეშტის და სხვა რაიონულ მუშათა საბჭოებს, „როგორიც უნდა იყონ ისინი“, აგრეთვე მოსთხოვა მათ არ მიმართონ „უხაყოფილებებს კომუნისტური პარტიის რესტავრაციის მხრივ“, „ვინაიდან პარტიის ასეთი ტიპი მათთვის (მასებისათვის. — **რედ**). ბიუროკრატიული დესპოტიზმის განსახიერება იყო“. ასეთია „არასტალინური კურსის“ ნიმუში, რომელიც ამხანაგმა კარდელმა დააპროექტა მომძე ქვეყნისათვის. უნგრელმა ამხანაგებმა უარყვეს ამხანაგ კარდელის ეს წინადადება. მათ დაითხოვეს ბუდაპეშტის და სხვა რაიონული მუშათა საბჭოები, რომლებიც კონტრრევოლუციონერთა ხელში იყვნენ, და მტკიცედ აფართოებენ სოციალისტური მუშათა პარტიის რიგებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნგრელი ამხანაგები სავსებით სწორად იქცევიან, წინააღმდეგ შემთხვევაში უნგრეთში არ იქნება სოციალიზმი, არამედ იქნება კონტრრევოლუცია.

ცხადია, რომ იუგოსლავიელმა ამხანაგებმა მეტად გადააჭარბეს. მათს კრიტიკაში მოძმე პარტიების მიმართ კიდევაც რომ იყოს ერთგვარი რაციონალური მარცვალი, მათ მიერ დაკავებული ძირითადი პოზიცია და ის მეთოდები, რომლებსაც ისინი იყენებენ, უცხოა ამხანაგური დისკუსიის პრინციპებისათვის. ჩვენ არ გვინდა ჩავიროთ იუგოსლავიის საშინაო საქმეებში, მაგრამ აქ საქმე სულაც არ ეხება საშინაო საქმეებს. საერთაშორისო კომუნისტური რიგების დარაზმულობა რომ განვამტკიცოთ და მტერს შეუძლებლობა არ მივცეთ თესოს ჩვენს რიგებში არევდარევა და გათიშვა, ჩვენ არ შეგვიძლია ძმური რჩევა არ გამოვთქვათ იუგოსლავიელი ამხანაგებისადმი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილი

74 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილი. იგი იმ საბჭოთა მეცნიერების რიცხვს ეკუთვნოდა, ვისი ტალანტი და ენერგია მოხმარდა ხალხის, მეცნიერების სამსახურს.

მ. დ. წინამძღვრიშვილი იყო შესანიშნავი თერაპევტი, ბრწყინვალე კლინიცისტი და პედაგოგი. მან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი თვისება — დაუცხრომლად იღრმავებდა ცოდნას, ეძებდა გზებს ბუნების საიდუმლოების გამოსაცნობად.

წინამძღვრიშვილი დაიბადა 1882 წელს ხაშურის რაიონის დაბა სურამში. საექიმო განათლება მიიღო ხარკოვის უნივერსიტეტში.

მისი საექიმო მოღვაწეობის პირველი პერიოდი მიმდინარეობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ჰოსპიტალური თერაპიის პოლიკლინიკაში გამოჩენილი თერაპევტის პროფესორ გეორგიევსკის ხელმძღვანელობით. მისმა იშვიათმა შრომისმოყვარეობამ, მეცნიერების მხურვალე სიყვარულმა და დიდმა ნიჭმა მიიპყრო ცნობილი მეცნიერის ყურადღება. წინამძღვრიშვილი, მიუხედავად კლინიკაში მუშაობის მცირე ტაკტისა, ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტად აირჩიეს ხარკოვის ახალ დაარსებულ ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში.

მიხეილ დოროთეს-ძის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროპედევტიკის კათედრასთან და, უფრო გვიან ჰოსპიტალური თერაპიის კათედრასთან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც იგი სამ ათეულ წელზე მეტ ხანს მუშაობდა.

იგი ბევრ შემოქმედებითს ძალას აბარდა ექიმთა კადრების მომზადებისა და დახელოვნების საქმეს. მ. დ. წინამძღვრიშვილის სკოლამ მოგვცა ბევრი თვალსაჩინო სპეციალისტი — თერაპევტი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და დოცენტი, რომლებიც დამსახურებული პოპულარობითა და აღიარებით სარგებლობენ ჩვენს რესპუბლიკაში. მხცოვანმა მეცნიერმა ბევრი რამ გააკეთა, როგორც პედაგოგმა და ლექტორმა. მისი ლექციები, რომლებიც გამოირჩეოდა კლინიკური ანალიზის სიღრმითა და შინაარსიანობით, აღსავსე იყო მდიდარი ფაქტიური მასალით, ყოველთვის აზიდავდა სტუდენტთა და ექიმთა მრავალრიცხოვან აუდიტორიას.

წინამძღვრიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მედიცინის მეცნიერებაში. მისი ინიციატივით 1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსდა ექსპერიმენტალური და ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტი. მიხეილ დოროთეს-ძემ ამ ინსტიტუტში დაარსება კლინიკის ექსპერიმენტულ-ფიზიოლოგიური მიმართულება. ინსტიტუტისა და კათედრის თანამშრომლებმა მისი ხელმძღვანელობით შეასრულეს 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან ბევრს დიდი მნიშვნელობა აქვს. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის თერაპიისა და ნევროლოგიის ინსტიტუტების მეორე გაფართოებულ და გაერთიანებულ სესიაზე საყოველთაო აღიარება ჰპოვა ჰიპერტონიული დაავადების ორიგინალურმა კლასიფიკაციამ, რომელიც მ. დ. წინამძღვრიშვილმა შეიმუშავა.

მიხეილ დოროთეს-ძემ საქართველოში პირველმა გამოიყენა გულის ეგრეთწოდებული ორთოპერკუტორული გამოკვლევის მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია გულის ზოგიერთი დაავადების დიფერენცირება რენტგენული კვლევის გამოუყენებლად. მან შეიმუშავა გულის კუნთის დაავადებათა ახალი ორიგინალური კლასიფიკაცია. გამოჩენილი მეცნიერი მონაწილე იყო თერაპევტთა ბევრი სრულიად საკავშირო და ყველა რესპუბლიკური ყრილობისა, სადაც წარმატებით აკეთებდა ფრიად საყურადღებო და შინაარსიან მოხსენებებს.

წინამძღვრიშვილი აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო. იგი იყო საქართველოს სსრ მეორე, მესამე და მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მიხეილ დოროთეს-ძის დამსახურებას სამშობლოს წინაშე, დააჯილდოვეს იგი ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებით, სამი მედლით და მიანიჭეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი არჩეული იყო თერაპევტთა სრულიად საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო წევრად, იყო ჟურნალ „კლინიჩესკაია მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, თერაპევტთა რესპუბლიკური და თბილისის საზოგადოებათა თავმჯდომარე.

მიხეილ დოროთეს-ძე გამოირჩეოდა უბრალოებითა და თავმდაბლობით, მუდამ მზად იყო ამხანაგებისათვის გაეზიარებინა თავისი მდიდარი გამოცდილება და დიდი ცოდნა.

მ. დ. წინამძღვრიშვილი იყო მაგალითი საბჭოთა პატრიოტი მეცნიერისა, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა დიდ საბჭოთა ხალხს. ასეთი დარჩება იგი მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი
თერაპევტთა რესპუბლიკური საზოგადოება
რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო

ზამთარში გაზაფხულის ამინდს არ უნდა ველოდეთ

მეხილეობა კასპის რაიონში ჯერ კიდევ არ არის სასოფლო-სამეურნეო არტელის მაღალმოსავლიანი დარგი. კოლმეურნეობათა დიდი ნაწილი ხილის დაბალ მოსავალს იღებს. წელს სამთავისის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 9,85 ცენტნერი ხილი მოკრიფეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34,7 ცენტნერისა. სოფლების ნიგოზას, კოდისწყაროს, ლამისყანის, პანტიანის, ხვითის კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო დაბალი მოსავალი — ჰექტარზე 0,55-6,5 ცენტნერი მიიღეს.

რატომ იღებენ ხილის დაბალ მოსავალს? უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ხეხილის ბაღებში არ ხორციელდება მოვლა-დამუშავების ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, ხოლო რაც ტარდება, ისიც დაბალხარისხოვნად, აგროტექნიკური ვადების დარღვევით. მაგალითად, სოფელ იგოეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში ამ გაზაფხულზე 4 ჰექტარზე ხეხილის ბაღი მოუხნავი დატოვეს. სოფლების აღაიანის, ოკამის, თეზის, კოდისწყაროს კოლმეურნეობებში ხეხილის ყველა წამლობა არ ჩატარებულა.

სამწუხაროდ, ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავებისადმი უდარდელი დამოკიდებულება რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში კვლავ გრძელდება, ბაღებში ჭიანურდება საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. სოფელ იგოეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. სოზიაშვილი) ხელი არ გაუნძრევიათ — 16,5 ჰექტარი ბაღი მოსახნავია, ხეხილის ძირები შემოსაბარავი, ბაღებში სასუქები არ შეაქვთ.

ამ კოლმეურნეობათა და კასპისა და სამთავისის მტს-ის ხელმძღვანელები ბაღებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების ჩამორჩენას „ობიექტური“ მიზეზებით ხსნიან: — წლევანდელი შემოდგომა თავისებური — ცივი, წვიმიანი იყო, წინა კვირას მოსულმა თოვლმა და ყინვამაც შეგვიშალა ნელი. ეს ნაწილობრივ შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ ზამთარში გაზაფხულის ამინდს ხომ არ უნდა ველოდეთ!?

ბაღებში სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მტს-ის ტექნიკა. 19 დეკემბერს სამთავისის მტს-ი მხოლოდ ერთ კოლმეურნეობაში აწარმოებდა ხვნას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ბაღების გაშენებას. ამ მხრივ კარგად იმუშავეს კავთისხევის მალენკოვის სახელობის და სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმ

ა. ზაპოტოცკის საახალწლო გამოსვლა

პრაღა, 1 იანვარი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ზაპოტოცკიმ საახალწლო სიტყვა წარმოთქვა.

უკანასკნელი დროის ამბები, თქვა მან, ცხადყოფენ, რომ აგრესორები ცდილობენ ახალი ომი გააჩაღონ. მაგრამ კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ხალხთა მისწრაფება აღკვეთონ ეს ცდები ახლა იმდენად ძლიერია, რომ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება.

ამას მოწმობს წინააღმდეგობისა და პროტესტის მძლავრი ტალღა, რომელიც გამოიწვია იმან, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ ეგვიპტეს. ჩაიშალა ავანტიურა ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც აგრესორებმა საერთო ღონისძიებებით განახორციელეს. ეგვიპტელ ხალხს ქედი არ მოუხრია მათ წინაშე. მისმა გმირულმა წინააღმდეგობამ მშვიდობისა და თავისუფლების ყველა მეგობრის სიმპათია მოიპოვა.

ეგვიპტელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად დაირაზმა ყველა ხალხი და, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, აგრეთვე ინდოელი ხალხი.

მაშინ როცა იმპერიალისტმა აგრესორებმა აშკარა სამარცხვინო ავანტიურა დაიწყეს ეგვიპტის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ისინი ომის მოწინააღმდეგე არიან და იბრძვიან საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის. მაგრამ ფაქტები სხვა რამეს მოწმობენ. სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები აღმოჩნდნენ წამოჭრილი რთული საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის თავგამოდებული მოწინააღმდეგენი. ეს წრეები, როგორც ცნობილია, ყოველთვის ცდილობდნენ გადაეჭრათ საერთაშორისო პრობლემები ძალის პოზიციიდან, ესე იგი ეკონომიური ბატონობისა და სამხედრო აგრესიის მუქარის გზით. ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან ყველა საშუალებით განახორციელონ ძალის პოზიციის პოლიტიკა მშვიდობის წინააღმდეგ, ცდილობენ რა ამ მიზნით გამოიყენონ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა წინააღმდეგობის შედეგად, განაგრძო ა. ზაპოტოცკიმ, ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხი დღემდე არ არის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადგილი ამ ორგანიზაციაში უკავიათ ერთ მუჭა კონტრრევოლუციონერებს, რომლებიც მოკალათებული არიან კუნძულ ტაივანზე. შეერთებული შტატების დამოკიდებულება, ერთი მხრივ ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხისადმი და, მეორე მხრივ, ჩანკაიშეკთა ბანდისადმი მკაფიოდ ახასიათებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას. ეს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა კი არ არის, არამედ ძველი „ძალის პოზიციის პოლიტიკაა“.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, ახლა იცავენ არა მარტო ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები, არამედ აზიისა და აფრიკის ხალხებიც.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისადმი მზარდი სიმპათია, უეჭველია, აძლევს იმპერიალისტ აგრესორთა, ომის პოლიტიკის მომხრეთა გეგმების განხორციელებას. აი ამიტომ ამერიკის კაპიტალი რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს გამოჰყოფს ანტიხალხოთა და ანტიკომუნისტური პროპაგანდის მოსაწყობად.

ა. ზაპოტოცკიმ განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთელმა ხალხმა ერთსულოვნად დაგმო სეერთაშორისო რეაქციის ეს კამპანია. უნგრეთის ამბებმა, თქვა მან, კიდევ უფრო შეამჭიდროვა ჩეხოსლოვაკიის მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია, განამტკიცა ეროვნული ფრონტის ერთიანობა, კიდევ უფრო განამტკიცა მასების ნდობა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისადმი.

ერთიანობამ, სიმშვიდემ და სოციალიზმის აშენების საქმის რწმენამ საბჭოთა კავშირისადმი გულითადი მეგობრობის გამოხატვასთან ერთად თითქოს ცივი წყალი გადაასხა ჩეხოსლოვაკიის ყველა მტერს. ყოველივე ამან ცხადყო, თუ რა ამაო იყო იმის იმედი, რომ დადგება დრო, როცა დამარცხდება სოციალიზმის და საბჭოთა კავშირთან ჩვენი მეგობრობის საქმე.

ეს მოლოდინი ამაოა. ასეთი დღე არასოდეს არ დადგება! ამის გარანტია, ხაზგასმით აღნიშნა ა. ზაპოტოცკიმ, არიან ჩვენი ჩეხი და სლოვაკი ხალხები, მათი შემოქმედებითი შრომა სოციალიზმის ასაშენებლად ქალაქსა და სოფელში. ამის გარანტიაა ჩვენი მტკიცე მეგობრობა და კავშირი დიდ საბჭოთა კავშირთან, სამშობლოს სიყვარული, მუშათა მტკიცე საერთაშორისო სოლიდარობა და ერთგულება მარქს—ენგელს—ლენინის მოძღვრებისადმი.

გასულ წელს ჩვენი სახალხო-დემოკრატიული წყობილება კიდევ უფრო განმტკიცდა და ჩვენი სახალხო მეურნეობა საერთოდ წარმატებით ვითარდებოდა ხალხის, მშვიდობისა და სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

შემდეგ პრეზიდენტი შეეხო ეკონომიური განვითარებისა და კულტურული მშენებლობის წარმატებებს, აგრეთვე ამოცანებს, რომლებიც დასახულია ჩეხოსლოვაკიის ხალხის წინაშე ახალ წელს.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 1 იანვარი. (საკდესი). ახალ წლის წინა დღეს ბუდაპეშტის რადიოთი მთელი უნგრელი ხალხისადმი მიმართული სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ.

მან რწმენა გამოთქვა, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც უნგრელმა ხალხმა გადიტანა, „იგი ახლა შეძლებს ასწოის თავი და გაბედულად, მტკიცე იმედით იაროს წინ ისევე, როგორც ყველა წმანანდელი უბედურების შემდეგ უნგრელები ფეხზე დგებოდნენ და ახერხებდნენ ეწარმოებინათ ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის“.

იშტვან დობიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალიზმის მშენებლობას უნგრეთში უნგრეთის პირობების შესაბამისად ხელი შეუშალა საერთაშორისო რეაქციამ.

დასავლეთის უპატიოსნო, უსინდისო ძირგამომთხრელმა მუშაობამ, განაცხადა იშტვან დობიმ, დაარღვია ჩვენი ცხოვრების, ჩვენი საშინაო მშვიდობიანი გარდაქმნის კარგი განვითარება. აგიზგიზდა კონტრრევოლუციის ცეცხლი. ჩვენ ვიცით, თუ რა ზარალი მოგვივიდა ბრძოლებისა და გაფიცვების შედეგად და გულისტკივილით ვფიქრობთ იმ უბედურ უნგრელებზე, რომლებიც დასავლეთის პროპაგანდამ, მას შემდეგ, რაც აქ კონტრრევოლუცია უკვე დამარცხდა, მოახერხა დაეყოლიებინა გაქცევასა და ჩვენი ქვეყნიდან წასვლაზე, შეპირდა მათ, ვინც უნგრეთს დატოვებდა, სახლსა და თავშესაფარს. იმათ შორის, ვინც სამშობლო დატოვა, არიან ისეთები, რომლებსაც უცხოეთში ელოდებოდნენ ნათესავები, მეგობრები. არიან ისეთებიც, რომლებიც ელოდნენ შესაძლებლობას მიეღოთ სამუშაო, რადგან ისინი კარგი სპეციალისტები არიან. მაგრამ ასეთები უმცირესობაა. ათეულ ათასობით უნგრელს არავითარი თავშესაფარი არ მისცეს. ამ საბრალო ადამიანების ბალიში ყოველ ღამე სველია ცრემლით, თუ კი მათ თავქვეშ უდევთ ეს ბალიში. ვერავის ვერ მისცეს ახალი სამშობლო, რადგან ჩვენთვის, უნგრელებისათვის, სამშობლო აქ არის, სადაც ჩვენმა წინაპრებმა ათასი წლის წინათ ეს ხალხი მოიყვანეს. აქ არის ჩვენი სამშობლო, ამასთან ისეთი, რომელსაც ვქმნით ჩვენი შეგნებით, ჩვენი ხელის შრომით. ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ჩვენ, ნგრევისა და ზარალის შემდეგ, მოგველის ძნელი, მაგრამ პატიოსანი და მშვენიერი შრომა...

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲖᲘᲢᲝᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 1 იანვარი. (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ-ტიტომ ახალი წელი მიულოცა იუგოსლავიის ხალხებს. იოსიპ ბროზ-ტიტომ ძუგოსლავიის ხალხებს უსურვა ახალი წარმატებანი იუგოსლავიის სოციალისტურ მშენებლობაში 1957 წელს.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 1 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა საახალწლო მიმართვა ინდონეზიელი ხალხისადმი. ინდონეზიელი ხალხის წინაშე, ნათქვამია მიმართვაში, დასახულია იმ მონაპოვართა განმტკიცებისა და განვითარების ამოცანები, რომლებიც მიღწეულია 1956 წელს დემოკრატიულ. ცხოვრებაში, მთელი ძალების მობილიზაციაში სასტროამიჯოიის მთავრობისათვის მხარდაჭერისა და დახმარების გასაწევად იმ პოლიტიკური პროგრამის უფრო აქტიურად შესრულებაში, რომელიც პარლამენტმა მიიღო.

ინდონეზიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ინდონეზიელ ხალხს განმტკიცოს ეროვნული დამოუკიდებლობა, გააფართოოს დემოკრატია, იბრძოლოს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

სოფია, 1 იანვარი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი დამიანოვმა რადიოთი მომართა ბულგარელ ხალხს საახალწლო სიტყვით, რომელშიც თქვა, რომ მთელი ბულგარელი ხალხი ახალ, 1957 წელს ეგებება თავისი ნათელი მომავლის მტკიცე რწმენით. გასულილი 1956 წელი, განაცხადა გ. დამიანოვმა, ბულგარელი ხალხის ისტორიაში შევა როგორც დიდი შრომითი და პოლიტიკური გამარჯვების წელი. კვლავაც განამტკიცებს რა მეგობრობისა და თანამშრომლობის საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ბულგარელმა ხალხმა თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1956 წელს მოიპოვა ახალი მნიშვნელოვანი წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარებაში. მწყობრში ჩადგა ახალი ქარხნები, ფაბრიკები და ელექტროსადგურები. კიდევ უფრო განვითარდა და განმტკიცდა კოოპერაციული წყობილება სოფლად. ყველა ეს წარმატება დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ბულგარელი ხალხის მიერ არჩეული გზა სოციალისტური მშენებლობისა ერთადერთი სწორი გზაა. მხოლოდ ამ გზით განვითარდება ბულგარეთი როგორც თავისუფალი სოციალისტური სახელმწიფო, მხოლოდ ამ გზით იქნება უზრუნველყოფილი ხალხის კეთილდღეობა და ბედნიერი ცხოვრება.

გ. დამიანოვმა აღნიშნა, რომ ბულგარელი ხალხის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია მუშებში, გლეხებსა და ინტელიგენციაში, რომლებიც კიდევ უფრო მჭიდროდ დაიტაზმნენ პარტიისა და მთავრობის გარშემო, ეს წარმატებები ახალი სტიმული გახდა მათი აქტივობის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ გაძლიერებულიყო მათი მზადყოფნა თავდადებით იშრომონ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, გ. დამიანოვმა თქვა, რომ მშვიდობის პოლიტიკამ, რომელსაც სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ საბჭოთა კავშირის მეთაურობით და რომელსაც ახორციელებენ აგრეთვე მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები, გასულ წელს გამოიწვია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ეს არ მოსწონს საერთაშორისო რეაქციას. მან მოაწყო კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში და იმპერიალისტური აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ და ახალი ომის საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს. იმპერიალისტების აგრესიული გეგმები დაამსხვრია სოციალიზმის ძალების, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების ურყევმა ერთიანობამ და ინტერნაციონალურმა სოლიდარობამ. გაიმარჯვა მშვიდობის საქმემ. წავიდა ის დრო, როდესაც იმპერიალისტებს შეეძლოთ ეკარნახათ თავიანთი ნება ხალხებისათვის. ამჟამად კაცობრობა ცხოვრობს სოციალიზმის ძალების გაუწყვეტელი აღმავლობის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმაგალითო გაძლიერების ეპოქაში, იმ ეპოქაში, როდესაც ინგრევა და იღუპება კოლონიური სისტემა. იმპერიალიზმი დღითიდღე კარგავს თავის პოზიციებს. იზრდება და განუწყვეტლივ მტკიცდება მშვიდობის ძალები.

არავითარი ეჭვი არ არის, განაცხადა გ. დამიანოვმა, რომ 1957 წელს მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ, ხოლო საერთაშორისო რეაქცია ახალ დამარცხებებს იგემებს. სახალხო კრების პრეზიდიუმის, მთავრობისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მან მოუწოდა მშრომელებს ახალ, 1957 წელს კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმონ თავიანთი ძალები სამამულო ფრონტში და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოლონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის, მატერიალური დოვლათის სიუხვისათვის ბულგარეთში.

ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲙᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

პეკინი, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, დღეს გაზეთმა „გუანმინჟიბაომ“ გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც მიესალმება ლაოსის სამეფო მთავრობისა და პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების სარდლობის გადაწყვეტილებას კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ. ეს გადაწყვეტილება, წერს გაზეთი, სამსახურს გაუწევს მშვიდობის დალაოსის დამოუკიდებლობის საქმეს; იგი საყვარელ ნაციონალურ ერთიანობა და სრული დამოუკიდებლობა. მაგრამ, გაფრთხილებას იძლევა გაზეთი, იმპერიალისტებს ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი შეთქმულებაზე ლაოსის მშვიდობისა და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲔᲢ-ᲚᲐᲝᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲮᲐᲜᲝᲘ, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ლაოსის სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრს პრინც სუვანა ფუმასა და პატეტ-ლაოს ნაწილების ხელმძღვანელს პრინც სუფანუვონგს შორის მიღწეულია შეთანხმება ლაოსის კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ.

ერთობლივ კომუნიკაში, რომელსაც ხელი მოაწერეს 29 დეკემბერს, ნათქვამია, რომ მხარეებმა გადაწყვიტეს გააფართოონ ლაოსის ახლანდელი მთავრობის შემადგენლობა და შექმნან კოალიციური მთავრობა, რომელშიც პოსტებს მიიღებენ პატეტ-ლაოს ნაწილების წარმომადგენლები.

კოალიციური მთავრობის შექმნის შემდეგ პატეტ-ლაოს ნაწილები გახდებიან პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის სახელწოდება იქნება „ლაოსის პატრიოტული ფრონტი“, და განახორციელებენ ლეგალურ საქმიანობას სხვა პოლიტიკური პარტიების თანაბრად.

შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სამ-ნეასა და ფონგ-სალის პროვინციების ხელისუფალნი და იქ განლაგებული შეიარაღებული ძალები დაექვემდებარებიან კოალიციური მთავრობის კონტროლს და რეორგანიზებული იქნებიან სამეფოში არსებული სისტემის შესაბამისად.

ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

პეკინი, 1 იანვარი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო-რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკურმა სამმართველომ ეს დღეს ერეკლერს გამოაქვეყნა. ... ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ შესახებ 1956 წელს.

სინხუას საგენტოს ცნობით, ჩინეთის მრეწველობამ გასულ წელს გამოუშვა 55.800 მილიონი იუანის პროდუქცია — 11 მილიარდი იუანით მეტი, ვიდრე 1955 წელს. სამრეწველო წარმოების ზრდა 1956 წელს შეადგენს 25 პროცენტს, მაშინ, როცა პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების ყოველწლიურ ზრდას საშუალოდ 14 პროცენტით.

1956 წლის დამლევს მიღწეულია 1957 წლის გეგმის მარეგნებლები 20 უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის, მათ შორის, ფოლადის, თუჯის, ნაგლინის, გენერატორების, ორთქლის და ჰიდროელექტრო ტურბინების, დაზგების, ცემენტის, ავტომობილის საბურავების, ქაღალდის, ბამბის ნართისა და ქსოვილების წარმოებაში.

მძიმე მრეწველობის უპირატეს განვითარებაზე აღებული კურსის შესაბამისად მისი ზრდის ტემპები უფრო სწრაფი იყო, ვიდრე საერთოდ მრეწველობის განვითარების ტემპები. 1955 წელთან შედარებით თუჯის წარმოება გადიდდა 1 მილიონზე მეტი ტონით, ფოლადისა — 1,5 მილიონი ტონით, ნაგლინისა — 1.100 ათასი ტონით, ქვანახშირისა—11.500 ათასი ტონით, ნავთობისა—210 ათასი ტონით, ელექტროენერგიისა — 3 მილიარდი კილოვატსაათით, ცემენტისა — 1.900 ათასი ტონით.

1955 წელთან შედარებით ბამბის ქსოვილების წარმოება ჩინეთში გადიდდა 1.130 მილიონ მეტრზე მეტით, შალეულისა — 3.300 ათასი მეტრით, მამაკაცური წარმოების ქაღალდისა — 140 ათასი ტონით, შაქრისა — 110 ათასი ტონით, საუკეთესო ზეთისა —10 ათასი ტონით, ველოსიპედებისა — 200 ათასი ცალით. მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე ფათრო მოხმარების სხვა საქონლის წარმოება.

ᲕᲘᲔᲒᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ

ᲮᲐᲜᲝᲘ, 1 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ნიან ზანმა“ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია, რომელშიც ლაპარაკია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის წარმატებებზე 1956 წელს.

სახელმწიფო გეგმა მრეწველობამ მთლიანად ვადაზე ერთი თვით ადრე — 30 ნოემბრისათვის შეასრულა. წარმოების მოცულობა 1955 წელთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა. ქვანახშირის ამოღება, ცემენტისა და ქსოვილების წარმოება უახლოვდება იმ დონეს, რომელიც ვიეტნამში სამრეწველო მოქმედების დაწყებამდე არსებობდა. თითქმის ყველა ძველი საწარმო აღდგენილია. გასულ წელს აშენდა 70-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და ობიექტი, მათ შორის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი „კაო ბანგი“, ასანთის ფაბრიკა, რამდენიმე ელექტროსადგური და წყალსადენის სადგური.

რესპუბლიკის მოპოვებულ წარმატებებს საფუძვლად უდევს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის ენთუზიაზმი. გასულ წელს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებმა შეიტანეს ათასობით წინადადება წარმოების გაუმჯობესების შესახებ. მეორე ფაქტორი, რომელიც უზრუნველყო მრეწველობის წარმატება, იყო მომძე ქვეყნების და პირველ რიგში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარება.

მრეწველობის აღდგენისა და განვითარების გზაზე, განაგრძობს გაზეთი, დიდ სიძნელეებს შეეხვდით. აქედან მთავარია: მრეწველობისადმი, განსაკუთრებით მსხვილი საწარმოებისადმი ხელმძღვანელობაში სათანადო გამოცდილების უქონლობა, კადრის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა. გასულ წელს მრეწველობა პირველად მუშაობდა გეგმით.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი (დილას), ჩიო-ჩიო-სან (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ლერწამი ქარში (დილას), ტარიელ გოლუა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის**—მკაცრი ქალიშვილები (დილას), მაია წყნეთელი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ვაი ჭკუისაგან (დილას), ნორა (საღამოს), **მუსიკალური კომედიის**—საყვარელი დისშვილი (დილას), რაც გინახავს ვეღარ ნახავ (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ერთი ღამის შეცდომები (აბონემენტი № 48, 12 ს.). ოქროს კაჟეჩრიანები (აბონემენტი № 3, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კომბლე (11 ს. და 3 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ნატვრისთვალი (12 ს.), დათუნიას სამართალი (2 ს.).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — თაფლობის თვე, **ამირანი, სპარტაკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ლენინგრადის ესტრადის მსახიობთა კონცერტი, **კოლხიდა, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — მუნა, **ოფიცერთა სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** —ვენა ცეკვავს, **კომკავშირელი** — ბაშიაჩუკი, **ხარეზო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — მეტოქენი, **დიდუბე** — მემკვიდრე, **26 კომისრის სახელობის** — ვინ არის იგი?, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ბბეზარა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

აცხადებს, რომ ვოდევილებისა და მინიატიურების თეატრისათვის შესარჩევ მსახიობთა კონკურსი ჩატარდება 4 იანვარს დღის 2 საათზე ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში.

კოლმეურნეობათა გამგეობებისა და მოქალაქეთა საყურადღებოდ

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სსრ-ში აცხადებს, რომ 1957 წლის 1 იანვრიდან მოქალაქეთა, მეურნეობებში და 15 მარტიდან კოლმეურნეობებში ეწყობა სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების აღრიცხვა და გადასახდელთა გამოანგარიშება.

შესაბამისად სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის კანონისა კოლმეურნეობებში დაიზღვევა: შენობები, ინვენტარი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, პროდუქცია, ნედლეული და მასალები, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესები (მათ შორის სანერგეებსა, კვალსათბურებსა და სათბურებში მყოფიც), სანერგეები და ბაღები, საკენკრეებისა და ვენახების მოსავალი; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვრები, თხები და ღორები 6 თვის და მეტი ასაკისა; ცხენები, აქლემები, ვირები და ჯორები 1 წელზე მეტი ასაკისა, ხოლო ცხენის, აქლემისა და ვირის ჯიშიანი მოზარდეული 6 თვის და მეტი ასაკისა; თევზსაჭერი გემები.

მოქალაქეთა მეურნეობებში დაიზღვევა მათი პირადი **საკუთრების უფლებით კუთვნილი:** შენობები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 6 თვისა და მეტი ასაკისა, აქლემები, ცხენები, ჯორები, ვირები, ცხვრები და თხები 1 წლის და მეტი ასაკისა; ღორები 9 თვისა და მეტი ასაკისა.

დაზღვეულ ყნონებზე გამოანგარიშებული **სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელები შეაქვთ კოლმეურნეობებს** — სახბანკის განყოფილებაში სახდაზღვევის ანგარიშზე ნაღდ ფულად ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს სოფელ ადგილებში — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებში.

მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს ქალაქებში — მუშათა და საგარაჯო დაბებში სახდაზღვევის ანგარიშზე სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, კომუნალური ბანკის განყოფილებებში, შემნახველ სალაროებში, სახდაზღვევის აგენტებთან და ობიექტორებთან.

კოლმეურნეობათა გამგეობებო და მოქალაქენო!

ხელი შეუწყეთ ფინანსების და სახდაზღვევის მუშაკებს დასაზღვევი ობიექტების სწორად და თავის დროზე აღრიცხვის საქმეში. გაითვალისწინეთ, რომ ობიექტების სწორად აღრიცხვაზე დამოკიდებულია სადაზღვევო გადასახდელთა სწორად გამოანგარიშება, დაზღვევის გადასახდელთა შემოსავლის გეგმის შესრულება და დაზღვევის საზღაურის სწორად და თავის დროზე გაცემა.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ᲙᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ

დიდი საცირკო წარმოდგენა

რსფსრ სახალხო არტისტი

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲓᲣᲠᲝᲕᲘ

თავისი ოთხფეხა მეგობარ ცხოველებით

რსფსრ დამსახურებული არტისტები

ᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲮᲔᲑᲘ

და ახლად ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

1 იანვრიდან 10 იანვრამდე

ᲙᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲘᲡᲬᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

საზამთრო არდადეგების დღეებში

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ბავშვთათვის სპეციალური პროგრამით

სახალხო არტისტი

ვლადიმერ დუროვი

დამსახურებული არტისტები

დები კოხები

დიდი საცირკო პროგრამა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე, წინასწარ ბილეთების შეძენა სახცირკის სალაროებში.

ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ

მეუღლე ყაფლან, შვილები ნიკო, კოტე, ბიკენტი, აკაკი, რძლები ბაბო, ვერა, კატო, ელენე, ჟუჟუნა ოჯახებით იუწყებიან

პოლიენე სიმონის ასულ კობახიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-I სოფელ ხოტევში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე ნონა ბერიშვილი, შვილი ზიზი, დები ლიდა, ლოლა, სიძეები ბ. ქოქავა, დ. მიქაძე, ვ. ბერიშვილი იუწყებიან

მიხეილ გიორგის-ძე კარტოზიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-I, 8 ს. გამოსვენება 6-I, 2 ს. კომბაინის ქ. № 41.

მეუღლე ელვარე, შვილები მარო, ელენე, ზინა, სიძეები გიორგაძე, ვაშაყმაძე, მემარნიშვილი იუწყებიან

ესე ლაზარეს-ძე ქათამაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-I სოფელ მაკვანეთში (მახარაძის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები სონია, ქენია, ნათელა, სერგო, მელიტონ, რძლები თინა, ლიდა ოჯახებით იუწყებიან

მიხეილ ბაქიას-ძე ცარახოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 3-I, 3 ს. ჩხიკვაძის ქ. № 41.

საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექცია აცხადებს **კონკურსს** მუზეუმის ფეოდალურამდელი პერიოდის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგის — უფროსი მეცნიერი თანამშრომლის და ფეოდალური პერიოდის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგის — უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერების სათანადო დარგის სპეციალისტებს, რომლებსაც დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვთ.

განცხადებები და ინსტრუქციით დაწესებული საბუთები მიიღება ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა მუზეუმის კანცელარიაში.

მისამართი: თბილისი, კეკელიძის ქ. № 10.